GRASS
REFORMANDA

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი

2014 | პოლიტიკის დოკუმენტი

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი

ავტორები:

სერგი კაპანაძე (პროექტის დირექტორი)

მერი მაღლაკელიძე (პროექტის კოორდინატორი)

გიორგი ცხადაია (მკვლევარი)

ალექსანდრე თარხან-მოურავი (მკვლევარი)

ხათუნა მარწყვიშვილი (მკვლევარი)

ქეთევან მუხიგული (მკვლევარი)

ეკატერინე ბასილაია (მკვლევარი)

მერი გაბაშვილი (მკვლევარი)

დარეჯან დვალიშვილი (მკვლევარი)

მთარგმნელი:

დიანა ლეჟავა

რედაქტორები:

არიანე სვიეკა

სოფიო ჯობავა

პოლიტიკის დოკუმენტი

GRASS

საქართველოს რეფორმების ასოციაცია

რაზმაძის ქუჩა 15, თბილისი, საქართველო, 0179, ტელ: +995322222943
www.grass.org.ge ელ-ფოსტა: grass@grassgroup.org

თბილისი

აგვისტო, 2014

GRASS
REFORMANDA

პროექტი განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის (G-PAC) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) და არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი

პროექტი „საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის ანალიზი“ განხორციელდა 2014 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ. GRASS წარმოადგენს მრავალპროფილურ ანალიტიკურ ცენტრს, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საგარეო, უსაფრთხოებისა და საჯარო პოლიტიკის სფეროების, საჯარო ადმინისტრირების კვლევასა და ანალიზს. შეფასების (კვლევის) ძირითადი სპექტრი მოიცავს სასამართლოს, განათლების, კონფლიქტის მოგვარების, მოწყვლადი ჯგუფების, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის განვითარებას. GRASS დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების ყოფილ საჯარო მოხელეთა მიერ. დამფუძნებლები გამოირჩევიან საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სფეროში რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილებით.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

ISBN 978-9941-0-6973-4

სარჩევი

რეზიუმე 4

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა 6

სოციალური მეცნიერებების კვლევა უმაღლეს განათლებაში 10

მეთოდოლოგია 13

სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობას საქართველოში 27

საქართველოს რეფორმების ასოციაციის რეკომენდაციები 57

დანართი 1 63

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი

რეზიუმე

წინამდებარე კვლევა განხორციელდა დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციის, საქართველოს რეფორმების ასოციაციის GRASS-ის მიერ პროგრამის „პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) ფარგლებში. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) არის არაპარტიული, არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს კვლევასა და საჯარო პოლიტიკის ანალიზს, უზრუნველყოფს პროექტების მენეჯმენტს, კონსულტაციებს და ადვოკატირებას საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმების სფეროში.

საქართველოს განათლების სისტემას მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდა საბჭოთა მემკვიდრეობის დასაძლევად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტელექტუალური გარემოს შესაქმნელად. მიუხედავად მრავალი რეფორმისა, ქართულ უნივერსიტეტებში ბევრი მიმართულება, როგორიცაა მაგალითად, კვლევა სოციალურ მეცნიერებებში, ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალები სოციალური მეცნიერების მიმართულებით, ამ სფეროში სამეცნიერო მოღვაწეობა ძალიან ნელი ნაბიჯებით მიმდინარეობს. თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტმა, სადაც 100–ზე მეტი პროფესორია გაერთიანებული ოთხი წლის განმავლობაში (2010-2014) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში მხოლოდ 12 სტატია გამოაქვეყნა. შესაბამისად, გაძლიერებული აკადემიური მოთხოვნების პირობებში არსებობს მაღალი ხარისხის კვლევების მზარდი საჭიროება. მეორე მხრივ, კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში (მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, და ა.შ.), რაც ხელ შეუწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და ქვეყნის განვითარებას.

პროექტის საერთო მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევების არარსებობის მიზეზების ანალიზი, სოციალური მეცნიერების განხრით, კვლევების ხელშესაწყობად სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საპარლამენტო კომიტეტის, დონორი ორგანიზაციების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური კვლევითი ინსტიტუტებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად შემოწმდა საქართველოს 14 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევისთვის, ძირითადად, გამოყენებულია შემდეგი საკვლევი ინსტრუმენტები: მეორადი წყაროების ანალიზი, დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში, სიღრმისეული ინტერვიუები, ინტერნეტში განთავსებული სამეცნიერო მონაცემების ანალიზი და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. კვლევა ჩატარდა 2014 წლის მარტი–მაისის პერიოდში საქართველოს რეფორმების ასოციაციის მკვლევართა მიერ, ინტერვიუერების დახმარებით, რომლებიც ადმინისტრირებას უწევდნენ აკადემიური პერსონალის კითხვარებს.

მთავარი მიგნებები ორ ნაწილად გავყავით: სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობას საქართველოს აკადემიურ გარემოში, და ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც ინდივიდუალური მკვლევარების წარმატებას განაპირობებენ მოცემულ გარემოში. პირველი ნაწილის ანალიზი მოხდა თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით; ასევე გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდებიც, მაგალითად, აღწერითი სტატისტიკა და ისეთი სტატისტიკური საშუალებები, როგორიცაა დამოუკიდებელი შერჩევის T–ტესტი და კორელაციური ანალიზი. მეორე ნაწილი გაანალიზდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესული ანალიზის საშუალებით.

პირველ რიგში, საქართველოში სოციალური მეცნიერებების დარგში კვლევის მდგომარეობის განსასაზღვრად გამოვიყენეთ სამი მეთოდი. ჩვენ გამოვიყენეთ: სკოპუსის (SCOPUS) მონაცემთა ბაზა, გუგლ სქოლარი (Google Scholar) და ჩვენი საკუთარი გრასის ინდექსი (GRASS INDEX) სოციალურ მეცნიერებებში იმ პუბლიკაციების რაოდენობის დასადგენად, რომლებსაც სამეცნიერო ღირებულება გააჩნია. აღმოჩნდა, რომ პროფესორების მიერ დასახელებული პუბლიკაციების საშუალო მაჩვენებელი იყო 4.66 (277-დან), რაც 7.87-ჯერ აღემატება სქოლარის მონაცემთა ბაზაში შესული პუბლიკაციების საშუალო რაოდენობას (0.59) და სკოპუსის ბაზის მონაცემებს კი - 61.4-ჯერ (0.076). აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ არსებობს დრამატული შეუსაბამობა პროფესორების მიერ პუბლიკაციების დასახელებულ რაოდენობასა და იმ პუბლიკაციებს შორის, რომლებსაც რეალურად აქვთ სამეცნიერო ღირებულება.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან მიღებული მონაცემები გაანალიზდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით, და რაოდენობრივი მეთოდოლოგიით, რაც მოიცავდა აღწერით სტატისტიკასა და ისეთ სტატისტიკურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა დამოუკიდებელი შერჩევის T-ტესტი და კორელაციური ანალიზი. ანალიზის შედეგად, განვსაზღვრეთ ოთხი ტიპის სტრუქტურული ფაქტორი, რაც განაპირობებს სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებულ კვლევებს საქართველოში: დაფინანსების ნაკლებობა, ინსტიტუციური ფაქტორები, ცოდნის ლოკალიზება და საბჭოთა მემკვიდრეობა. ყველა ამ ფაქტორს არსებითი გავლენა აქვს საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევის პროდუქტიულობასა და ხარისხზე.

ზემოთაღნიშნული ფაქტორების გარდა, ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ ინდივიდუალური ფაქტორები, რაც კონკრეტული პროფესორის წარმატებას განაპირობებს მოცემულ გარემოში (ანალიზის ორი დონე ერთმანეთისგან გავმიჯნეთ ეკოლოგიური და ინდივიდუალური ცდომილებების თავიდან ასაცილებლად). ინგლისურად წერის უნარი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, რაც ხელს უწყობს მკვლევარის პროდუქტიულობას. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ პროფესორებს შეუძლიათ სტატიის ინგლისურად გამოქვეყნება, რომელიც მარტივად შესამჩნევი იქნება და მოხვდება გუგლ სქოლარის მონაცემთა ბაზაში.

პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი, სადაც მოცემულია რეკომენდაციები, ორ ძირითად ქვეთავად გავყავით: რეკომენდაციები უნივერსიტეტების ადმინისტრაციისთვის და რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის. საერთო ჯამში, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ 26 რეკომენდაცია, რომელიც ორივე დონეზეა მომართული. რეკომენდაცია მოცემულია თითოეული ხაზგასმული პრობლემის შესაბამისად.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა

1. მიმოხილვა

საქართველოს განათლების სისტემა მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2004-2007 წლებში საქართველომ რთული ამოცანის შესრულებას - საკუთარი უმაღლესი განათლების სისტემის განახლებას მიჰყო ხელი. მას შემდეგ, რაც საქართველო 2005 წელს ბოლონიის პროცესს შეუერთდა, ყველა ქართულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგა სამ-ეტაპიანი საგანმანათლებლო სტრუქტურა და ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამებოდა ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს. 2004 წელს საქართველომ მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. კანონის თანახმად, სისტემატური შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის, მთავარ მიზნად განისაზღვრა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება უნივერსიტეტების ბაზაზე, ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. უმაღლესი განათლების სისტემის მეორე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია. საბჭოთა მემკვიდრეობის ფონზე, როდესაც უნივერსიტეტები მხოლოდ სწავლებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო კვლევა მთლიანად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეროგატივა იყო, თანამედროვე უნივერსიტეტებმა ვერ შეძლეს საკუთარი, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსების სრულად გამოყენება კვლევისა და სწავლების გაერთიანებისთვის. ქართული უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ მათ შეძლეს საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მართვის სისტემის გარდაქმნა უფრო ავტონომიურ და დინამიკურ მართვის სისტემად. მიუხედავად ამისა, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ბევრი პრობლემის წინაშე დგანან, რადგან უწევთ ფეხი აუწყონ საერთაშორისო და გლობალური უმაღლესი განათლების მზარდ სისტემას.

ზემოთ აღნიშნული რეფორმებისთვის 2004 წლის დეკემბერში, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, მომზადდა საკანონმდებლო ბაზა, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა უმაღლეს განათლებაში ჩართული მოთამაშეების როლები და პასუხისმგებლობები, უმაღლესი განათლების საფეხურები, მიღების პროცედურები, ლიცენზიის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები, საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპები, კრედიტების სისტემის დანერგვა, და ა.შ. (ტემპუსის ეროვნული ოფისი საქართველოში, 2012). ბოლო წლებში კანონმა რამდენიმე ცვლილება განიცადა, რაც მოიცავდა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას, აკადემიური თანამდებობების განსაზღვრას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტსა და სხვა. კანონის თანახმად, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა აღიარებს სამ-საფეხურიან უმაღლეს განათლებას, და კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხებს. სადოქტორო პროგრამებმა და, შესაბამისად, სადოქტორო დისერტაციამ ჩაანაცვლა ძველმოდური ასპირანტურა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ესეც სწავლისა და კვლევის ინტეგრაციას ემსახურებოდა, რაც კანონის თანახმად, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

საქართველოში არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამი ტიპი:

ა) უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას განათლების სამივე საფეხურზე, და კვლევით აქტივობებს;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ს (გარდა სადოქტორო სწავლებისა). სასწავლო უნივერსიტეტს მოეთხოვება მეორე საფეხურის (სამაგისტრო სწავლების) საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელება;

გ) კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

2. სახელმწიფო და კერძო უმაღლესი განათლება

უმაღლესი განთლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა დაფუძნდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ყველა უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო ყველა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - არასამთავრობო სექტორის მიერ. კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობის აუცილებლობა განაპირობა ადრეული 1990-იანი წლების შემდეგ სამუშაო ბაზარზე არსებულმა ახალი სპეციალობებისა და უნარების მოთხოვნამ და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ, რაც საბჭოთა კავშირის ნგრევას მოჰყვა (შევარდნაძე, 2005). 1991 წელს საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო დონეზე დაუშვა არასამთავრობო (კერძო) უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა. შედეგად, მომზადდა ბაზა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფუძნებლად.

ამჟამად, არსებობს 57 უმაღლესი საგანანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ავტორიზებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. აღნიშნული 57 სასწავლებლიდან 28 არის კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც უმაღლესი განათლების სამივე საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ახორციელებს, ხოლო დანარჩენ 29 დაწესებულებას სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი აქვს. ისინი მცირე ყურადღებას უთმობენ კვლევას და სტუდენტებს უმაღლესი განათლების მხოლოდ ორ საფეხურს სთავაზობენ. გარდა ამისა, აღნიშნული უნივერსიტეტებიდან 20 არის სახელმწიფო, ხოლო 37 კერძო (ტემპუსის ეროვნული ოფისი საქართველო, 2012). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 64% განთავსებულია დედაქალაქში, თბილისში. სტუდენტების საერთო რაოდენობა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის 99,003 (2012 წლის აპრილის მდგომარეობით). სტუდენტების 62% გადანაწილებულია ხუთ ყველაზე დიდ სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტემპუსის ეროვნული ოფისი საქართველო, 2012). ყველა აღნიშნული საჯარო დაწესებულება 2006 წლის უმაღლესი განათლების რეფორმამდე ან განეკუთვნებოდა სახელმწიფო დაწესებულენათა რიგს, ან ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფოს მიერ მართვადი უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების გაერთიანების საფუძველზე, რომლებსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭათ.

3. მენეჯმენტი და დაფინანსება

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის მენეჯმენტს, ძირითადად, სახელმწიფო სტრუქტურები განსაზღვრავენ.

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს; ასევე, რეგულარულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშებს სახელმწიფო პოლიტიკის იმპლემენტაციასთან, ფინანსურ აქტივობებსა და უმაღლესი განათლების სფეროში საჯარო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა კი ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში, ამტკიცებს სახელმწიფო გრანტების ყოველწლიურ მოცულობასა და თანხას. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას აქვს უფლება დააფუძნოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები ამტკიცებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებას ხელოვნებისა და სასპორტო უმაღლესი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსაზრების გათვალისწინებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა განისაზღვრება დაწესებულების წესდებით, რომელიც შემუშავებულია თავად დაწესებულების მიერ და დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტებს აქვთ სწავლებისა და კვლევის პოლიტიკის განვითარებისა და პერსონალის დაქირავებისათვის (რეკრუტირებისათვის) სათანადო რეგულაციის განსაზღვრის თავისუფლება. მათ შეუძლიათ აირჩიონ მმართველი ორგანოები და მართონ ფინანსები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ძირითადი წყარო სახელმწიფოა, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების სწავლის გადასახადის ფორმით ხდება. უნივერსიტეტების დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს კერძო გრანტები, სახელმწიფო კვლევითი გრანტები, პროგრამული დაფინანსება სხვადასხვა სამინისტროის მიერ, შემოწირულობები ან ქველმოქმედება, და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან. პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო გასცემს ინფრასტრუქტურულ გრანტებს სახელმწიფო უნივერსიტეტებზე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. კერძო უნივერსიტეტები სახელმწიფოსგან პირდაპირ არ ფინანსდებიან, არამედ იღებენ არაპირდაპირ სუბსიდიებს ამ უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტებზე გაცემული სახელმწიფო გრანტების სახით. თუმცა აღნიშნული სახელმწიფო დაფინანსება წარჩინებაზეა დამოკიდებული და მხოლოდ კვალიფიციურ კანდიდატებზე გაიცემა.

სოციალური მეცნიერებების კვლევა უმაღლეს განათლებაში

საქართველოში სოციალური მეცნიერებების კვლევა არ გამოირჩევა მდიდარი ტრადიციით. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და მისი იდეოლოგიური შეზღუდვების ნგრევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა მთელი რიგი პროგრესული ნაბიჯები, განსაკუთრებით კი 2004 წლის შემდეგ, მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების გამო, სოციალური მეცნიერების დარგებში კვლევა კვლავაც ჩანასახობრივ ეტაპზეა.

რეგულაცია

საქართველოში კვლევითი აქტივობის მარეგულირებელი მთავარი დოკუმენტებია: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მიღებული 2005 წელს), საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ (მიღებულია 1994 წელს, ცვლილება შესულია 2006 წელს), საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ (მიღებულია 2007 წელს), საქართველოს კანონი სახელმწიფო გრანტების შესახებ (მიღებულია 1996 წელს). აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავენ კვლევითი აქტივობების ზოგად ჩარჩოს და მთავარ დაინტერესებულ მხარეებს/მათ პასუხისმგებლობებს.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ სფეროს, არის სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში - ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანია პრიორიტეტულ სფეროებში პროგრესის დაჩქარება და ქართული საზოგადოების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. აღნიშნული დოკუმენტი, სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ სფეროებს. იგი შეიმუშავა საქართველოს მთავრობამ და მოგვიანებით განიხილა/დაამტკიცა პარლამენტმა მეცნიერების განვითარების წლიურ ბიუჯეტთან ერთად (როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ნაწილი).

ძირითადი მოთამაშეები სახელმწიფო დონეზე

- მთავრობა - სამეცნიერო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ადგენს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტს, რათა განისაზღვროს კვლევის პრიორიტეტული სფეროები. ის ასევე აყალიბებს იდეებს ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოტენციალის გაძლიერებისთვის (ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტების ჩათვლით) და ამყარებს მნიშვნელოვან საერთაშორისო კონტაქტებს.

- პარლამენტი - ამტკიცებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პრიორიტეტულ სფეროებს და ძლიერ ბიუჯეტს. მას ასევე აკისრია პასუხისმგებლობა სამეცნიერო აქტივობების განხორციელების მონიტორინგზე, პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის შეზღუდვების ფარგლებში.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის (პრიორიტეტულ სფეროებში) პროგრესს სამეცნიერო პროგრამების, პროექტებისა და მიზნობრივი აქტივობების, ინფრასტრუქტურის განვითარების, კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებისა და შესაბამის საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების გზით.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან (სადოქტორო პროგრამების ჩათვლით) და მიზნად ისახავს რეგულარული თვით-შეფასების დანერგვას საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, ცენტრს აკისრია სხვა მოვალეობებიც, როგორიცაა ქართულ უნივერსიტეტებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება.
- ადგილობრივი მთავრობა - ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის (პრიორიტეტულ სფეროებში) პროგრესს სპეციალური პროგრამების, პროექტებისა და მიზნობრივი აქტივობების, რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია - აკისრია მთავრობის მრჩევლის როლი პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრისა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით.

კვლევით აქტივობებში ჩართული ძირითადი მოთამაშეები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - მიუხედავად საკმაოდ შეზღუდული კვლევითი აქტივობებისა, ამჟამად სწორედ ამ დაწესებულებებს უჭირავთ წამყვანი პოზიციები სოციალურ მეცნიერებებში განხორციელებული კვლევების თვალსაზრისით, ვინაიდან, განსაკუთრებით 2007 წლის რეფორმის შემდეგ, ძირითადი სამეცნიერო პოტენციალი კონცენტრირებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- აკადემიური კვლევითი ინსტიტუტები - ეს არის დაწესებულებები, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქოლგის ქვეშ. 2007 წლამდე საქართველოში განხორციელებული კვლევები თითქმის მთლიანად თავმოყრილი იყო მსგავს ინსტიტუტებში. მათ ჰყავდათ საკუთარი ადმინისტრაცია და აკადემიური/კვლევითი პერსონალი. თუმცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მნიშვნელოვნად იყო ჩართული თითქმის ყველა ძირითად ადმინისტრაციულ და აკადემიურ პროცესში. 2007 წელს აკადემიური კვლევითი ინსტიტუტები ჩამოშორდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ჩამოყალიბდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. სამინისტროსგან მიღებული დაფინანსებით

(ფიქსირებული დაფინანსება, რომელიც მიბმული არ იყო კვლევით აქტივობებთან) ინსტიტუტებს შეეძლოთ საკუთარი მდგრადობის შენარჩუნება და კვლევითი აქტივობების განხორციელება. 2005 წელს დაწყებული განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში კიდევ ერთხელ მოხდა აკადემიური კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაცია (2010-2011 წლებში) და ისინი სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუერთდა. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერებასა და განათლებას შორის არსებული უფსკრულის შემცირება, რაც ასე მძლავრად გამოკვება საბჭოთა სისტემამ. ამჟამად, აკადემიური კვლევითი ინსტიტუტები განაგრძობენ ოპერირებას (ზოგიერთი ცვლილებით) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქოლგის ქვეშ. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შიდა რეგულაცია და პოლიტიკა აკადემიურ კვლევით ინსტიტუტებთან დაკავშირებით.

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი - სამეცნიერო აქტივობების ხელშესაწყობად და დამსახურებაზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემის შესაქმნელად 2010 წელს მთავრობამ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ) დააფუძნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია სამთავრობო დონეზე განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში საგრანტო კონკურსების დაგეგმვას, დანერგვასა და შეფასებაზე. ამ ეტაპზე, აღნიშნული ფონდი გასცემს გრანტებს 10 სხვადასხვა სფეროში, ესენია:
- ქართველოლოგია
- ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური კვლევები
- ინჟინერია
- ინფორმაციული ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაცია
- მათემატიკა
- ფიზიკა და ქიმია
- მედიცინა
- დედამიწის მეცნიერებები
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
- სოფლის მეურნეობა

  ფონდის ზოგად მიზანს წარმოადგენს ხელი შუწყოს აღნიშნული პრიორიტეტული სფეროების განვითარებას ინფრასტრუქტურის მშენებლობით, ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვით, საერთაშორისო პარტნიორებთან კონტაქტების დამყარებითა და საქართველოში კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერით. ფონდს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის, ასევე ეროვნულ პრიორიტეტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო. საბჭოს წევრები არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.
- არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) - კვლევით აქტივობებში ჩართულია მთელი რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ მიერ წარმოებული კვლევა სოციალურ მეცნიერებებს მიეკუთვნება, თუმცა ყველა მათგანი ვერ

აკმაყოფილებს დარგის აკადემიურ სტანდარტებს. მათ მიერ კვლევების წარმოება, ძირითადად, მოტივირებულია: ა) სურვილით გავლენა იქონიონ მთავრობის გადაწყვეტილებებზე/პოლიტიკურ პროცესებზე, ან ბ) დაეხმარონ საერთაშორისო დონორებს იმ სფეროების იდენტიფიცირებაში, რომლებიც ინტერვენციას მოითხოვს.

- საერთაშორისო დონორები - მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან საგრძნობლად გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, კვლევით აქტივობებს, ძირითადად, მაინც საერთაშორისო დონორები აფინანსებენ. ამჟამად თხუთმეტზე მეტი საერთაშორისო დონორი აფინანსებს კვლევით აქტივობებს საქართველოში საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, პუბლიკაციების ხელშეწყობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდის გზით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა ანგარიშგება, თუ რა რაოდენობის თანხა იხარჯება დონორების მიერ ყოველწლიურად კვლევითი აქტივობების წასახალისებლად. თუმცა ნათელია, რომ ქართველი მკვლევარები კვლავაც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი დონორების მხარდაჭერაზე.

მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლები

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება საქართველოს რეფორმების ასოციაცია USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - *საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი* – ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევა ჩატარდა 2014 წლის მარტი–მაისის პერიოდში GRASS-ის მკვლევარების მიერ. კვლევის დროს გამოიკითხა საქართველოს 14 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; კვლევა მოიცავდა ორ ფოკუს ჯგუფს, 16 მეორადი მოკვლევის გამოკითხვას და 16 სიღრმისეულ ინტერვიუს. კვლევა მოიცავდა როგორც რეგიონულ უნივერისტეტებს, ასევე დედაქალაქში მდებარე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

კვლევის მიზანი

კვლევის საბოლოო მიზანია საქართველოს უნივერისტეტებში სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევების დაბალი პროდუქტიულობის მიზეზების ანალიზი და სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საპარლამენტო კომიტეტის, დონორი ორგანიზაციების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური კვლევითი ინსტიტუტებისთვის სოციალური მეცნიერების განხრით კვლევების ხელშესაწყობად.

კვლევის პოპულაცია და შერჩევის დიზაინი

კვლევის პოპულაციას შეადგენენ საჯარო და კერძო უნივერისტეტების (აკადემიური შტატი, ფაკულტეტების ადმინისტრატორები, რესურს-ცენტრების თანამშრომლები), კვლევითი ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში შევისწავლეთ 14 უნივერისტეტი:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
9. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
10. კავკასიის უნივერსიტეტი
11. თავისუფალი უნივერსიტეტი
12. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
13. საქართველოს უნივერსიტეტი
14. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა).

ცხრილში 1 წარმოდგენილია მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია პროფესორების რაოდენობის შესახებ:

ცხრილი 1. საქართველოს 14 უნივერისტეტში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესორების რაოდენობა და თანამშრომლობის მაჩვენებელი (2013)

	უნივერსიტეტი	**პროფესორების რაოდენობა**	**რესპოდენტების რაოდენობა**	**თანამშრომლობის მაჩვენებელი**
1	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	93	72	77%
2	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	46	35	76%
3	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	34	16	47%
4	კავკასიის უნივერსიტეტი	32	16	50%
5	ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	32	32	100%
6	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	28	15	54%
7	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	26	20	77%
8	შავი ზღვის უნივერსიტეტი	25	12	48%
9	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	20	13	65%
10	საქართველოს უნივერსიტეტი	16	7	44%

11	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13	6	46%
12	თავისუფალი უნივერსიტეტი	11	8	73%
13	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7	7	100%
14	ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი	3	3	100%
	სულ	**386**	**278**	**72%**

თავდაპირველად, ეს 386 პროფესორი წარმოდგენილი იყო თავად ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ როგორც დასაქმებული პირები, თუმცა ჩვენ გამოვრიცხეთ 20 პროფესორი, რადგან ისინი არ განეკუთვნებოდნენ სოციალურ მეცნიერებათა სფეროს და უნივერისტეტებმა არასწორად მიამაგრეს ამ დისციპლინას.

386 პროფესორს დავუკავშირდით და ვთხოვეთ შეხვედრა. მათ, ვინც გამოკითხვის დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, კითხვარი ელ-ფოსტით გავუგზავნეთ და ვთხოვეთ, ელექტრონულად შეევსოთ იგი. როგორც ეს ცხრილი 2–დან ჩანს, საერთო თანამშრომლობის მაჩვენებელი 72% იყო.

ინსტრუმენტები

GRASS–ის მკვლევარებმა გამოიყენეს მონაცემთა შეგროვების ორივე მეთოდი, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი. ძირითადი ინსტრუმენტები იყო: მეორადი მოკვლევა, ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, ინტერნეტში განთავსებული სამეცნიერო მონაცემთა ანალიზი და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.

მეორადი მოკვლევა

მეორადი მოკვლევისთვის GRASS–ის მკვლევარებმა შეიმუშავეს ოთხი კითხვარი სოციალური მეცნიერების სფეროში მოღვაწე პროფესორებისთვის, ადმინისტრაციული პერსონალის, დონორი ორგანიზაციებისა და განათლების სამინისტროსთვის. მონაცემები გამოიყენეს აკადემიური პერსონალის შერჩევისთვის (სრული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასოცირებული პროფესორები), შემდგომში სოციალური მეცნიერებების სიტუაციის (სიღრმისეულად) შესასწავლად სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ასევე, მონაცემები გამოიყენეს დაფინანსების შესაძლებლობის და დონორი ორგანიზაციების შესასწავლად.

ფოკუს ჯგუფები

თვისებრივი კვლევისთვის დამახასიათებელი მიზნობრივი შერჩევა გამოიყენეს რესპონდენტების შერჩევისთვის კვლევის ამ კომპონენტში.

დისკუსიის მონაწილეები წარმოადგენენ სოციალური მეცნიერების ფაკულტეტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, როგორც თბილისის, ასევე რეგიონული საჯარო და კერძო უნივერსიტეტებიდან. ფოკუს ჯგუფებისთვის რესპოდენტთა შესარჩევად GRASS–მა გააგზავნა წერილები უნივერსიტეტებში, რათა მათ წარმოედგინათ

ფაკულტეტების ადმინისტრატორებისა და რესურს-ცენტრების თანამშრომლების სია, რომლებსაც ევალებათ დაეხმარონ აკადემიურ პერსონალს კვლევითი პროექტების მომზადებასა და გრანტის ადმინისტრირებაში. მონაწილეობის მსურველთა შერჩევა ჩატარდა რეგიონების (თბილისი/რეგიონები) და უნივერსიტეტების ტიპის (საჯარო/კერძო) გათვალისწინებით.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო მოწვეული. საბოლოო ჯამში, საჯარო უნივერსიტეტებს წარმოადგენდა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კერძო უნივერსიტეტებს კი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ცალკ-ცალკე, კერძო და საჯარო უნივერსიტეტებისთვის, თბილისში, GRASS–ის ოფისში.

დისკუსიები ჩაიწერა, გაიშიფრა (მომზადდა ტრანსკრიპტები) და გაანალიზდა GRASS–ის მკვლევარების მიერ.

სტრუქტურირებული ინტერვიუები

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა აკადემიურ პერსონალთან და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. სულ რეგიონული საჯარო უნივერსიტეტებიდან რესპოდენტების რაოდენობა იყო 4, თბილისის კერძო უნივერსიტეტებიდან – 3, თბილისის საჯარო უნივერსიტეტებიდან - 7, და კვლევითი ინსტიტუტებიდან – 2. საერთო ჯამში, ჩატარდა 16 ინტერვიუ. შერჩეული კანდიდატები გამოირჩეოდნენ მაღალი სამეცნიერო შედეგიანობით და გამოცდილებით მოცემულ სფეროში. ინტერვიუები ჩაატარეს GRASS–ის მკვლევარებმა. ინტერვიუები ჩაიწერა და მომზადდა ტრანსკრიპტები.

ინფორმაციის შეგროვება ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზებიდან

ქართველი პროფესორების მიერ 2010–2013 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებული იყო ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, გუგლ სქოლარი და სკოპუსი. გუგლ სქოლარის მონაცემთა ბაზა გულდასმით იქნა შესწავლილი და შეგროვებული მონაცემები ორმა სხვადასხვა მკვლევარმა გადაამოწმა. გარდა ამისა, გამოვიყენეთ აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული ის კვლევებიც, რომლებიც არ იყო განთავსებული ინტერნეტში, რათა არ გამოგვრჩენოდა რომელიმე პუბლიკაცია.

გამოკითხვა/კითხვარი

კითხვარი შეადგინა GRASS–მა. კითხვარი იხილეთ დანართში. ინსტრუმენტის პილოტირებას და ადმინისტრირებას GRASS-ის მკვლევარები და ინტერნვიუერები აწარმოებდნენ. კვლევის სამიზნე სეგმენტს წარმოადგენდა უნივერსიტეტების სოციალური მეცნიერებების სფეროს აკადემიური პერსონალი.

გამოკითხვის დოკუმენტაცია და საველე სამუშაოების მომზადება

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე GRASS–მა დაიქირავა სტაჟიორები და მათ ტრენინგი ჩაუტარა კვლევის საკითხის, კვლევის ინსტრუმენტების, კითხვარებისა და ამ კითხვარების შევსების შესახებ. მათ მიეცათ დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ აეხსნათ რესპოდენტთათვის კვლევაში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობა და უზრუნველეყოთ კონფიდენციალურობა.

GRASS–ის მკვლევარები დაუკავშირდნენ რეგიონებში მცხოვრებ რესპოდენტებს და სთხოვეს, მათ შევსებული კითხვარები გამოეგზავნათ ელექტრონულად.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2014 წლის მარტი–მაისის პერიოდში.

კითხვარების კონტროლი

GRASS–ის სათაო ოფისში გაგზავნამდე, სტაჟიორებმა შეამოწმეს თითოეული შევსებული კითხვარის ხარისხი. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი რესპოდენტებს დამატებით ინფორმაციას სთხოვდნენ. გარდა ამისა, GRASS–ის მკვლევარებმა ჩაატარეს კითხვარების ლოგიკური კონტროლი და რედაქტირება. ისინი აკონტროლებდნენ კითხვარებს, ნებისმიერი გამოტოვებული ან არასწორი ინფორმაციის გამოსავლენად.

უფრო მეტიც, GRASS–ის მკვლევარებმა ღია კითხვებს ჩაუტარეს კოდირება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, მათ შორის, პირველადი კონტროლი, ხარისხის კონტროლი და ლოგიკური კონტროლი.

მონაცემთა შეყვანა და ანალიზი

GRASS–ის სტაჟიორებს მონაცემები შეჰყავდათ SPSS 20-ში. რაოდენობრივი ანალიზისთვის გამოიყენეს აღნიშნული სტატისტიკური პროგრამა. ბინარული ლოგისტიკური რეგრესია და კორელაციური ანალიზი გამოიყენეს მონაცემთა ანალიზის ძირითად ინსტრუმენტად.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვების გასაცნობად იხილეთ დანართი 1.

სოციალური მეცნიერებების პროდუქტი საქართველოში:
არსებული მდგომარეობა

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე კვლევების მდგომარეობის შესაფასებლად შევკრიბეთ აკადემიური პუბლიკაციები, რომლებიც ამ უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა. კვლევის პერიოდი არის იგივე, რაც ყველგან წინამდებარე კვლევაში და მოიცავს 2010-2013 წლებს.

ჩვენ მოვიძიეთ და გავაანალიზეთ 366 პროფესორის მიერ ყოვლეწლიურად გამოქვეყნებული პუბლიკაციები ორ ელექტრონულ ბაზაში: გუგლ სქოლარში და სკოპუსში. ასევე მოვაგროვეთ პროფესორების მიერ მოწოდებული პუბლიკაციების სიები. პუბლიკაციების რაოდენობის განსაზღვრის პირველი წყარო კითხვარში პროფესორების მიერ მითითებული პუბლიკაციების სია იყო. მხოლოდ 277 პროფესორმა წარმოადგინა პუბლიკაციების სია. თუმცა აღნიშნული მეთოდის გამოყენებას სხვა მთავარი შეზღუდვაც სდევდა თან.

საკმაოდ სუსტი ასოციაცია იყო პროფესორების მიერ მოწოდებულ პუბლიკაციათა რაოდენობასა და ხარისხს შორის. 277 პროფესორისთვის, რომლებმაც შეავსეს კითხვარი, კორელაცია გუგლ სქოლარში მითითებულ და მათ მიერ პუბლიკაციების სიაში შეყვანილ სტატიებს შორის ძალიან მცირეა: 0.230 ($p<0.05$). კორელაცია პროფესორთა მიერ მოწოდებულ პუბლიკაციებსა და ციტირების რაოდენობას შორის მხოლოდ 0.158 არის ($p<0.05$). სკოპუსში განთავსებულ სტატიებსა და მოწოდებულ პუბლიკაციებს შორის კორელაცია კიდევ უფრო დაბალია - 0,067 ($p<005$), რაც გულისხმობს ასოცირების არარსებობას. 277 პროფესორის მიერ მოწოდებული პუბლიკაციების საშუალო რიცხვი 4.66–ს შეადგენს, რაც 7.87–ჯერ მეტია გუგლ სქოლარში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობაზე (0.59), და 61.4–ჯერ აღემატება სკოპუსში გამოქვეყნებულთა რაოდენობას (0.076). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა არ ასახავს პროფესორის მუშაობის სამეცნიერო ეფექტს.

რეალური სამეცნიერო ეფექტის განსასაზღვრად, გამოვითვალეთ მონაცემების სამი ერთობლიობა: სკოპუსში განთავსებული პუბლიკაციები, გუგლ სქოლარში მოცემული პუბლიკაციები (2010–2013 წლებში) და GRASS–ის ინდექსი.

პირველ მიდგომას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ სკოპუსში ჩამოთვლილ პუბლიკაციებს, ვუწოდეთ კონსერვატიული მიდგომა, ხოლო პუბლიკაციების რაოდენობის დადგენას მხოლოდ გუგლ სქოლარზე დაყრდნობით – ლიბერალური მიდგომა. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ გუგლ სქოლარი მოიცავს პუბლიკაციების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ისეთი შეზღუდული მონაცემთა ბაზები, როგორიცაა სკოპუსი ან Web of Science–ი. მაგალითად, ხშირად იგი ასევე მოიცავს არარეფერირებად პუბლიკაციებსაც. [1] ამის ნაცვლად ჩვენ წარმოვადგინეთ მესამე, შუალედური მიდგომა, GRASS–ის ინდექსი, რომელიც არ წავა ისეთ კომპრომისზე ხარისხთან მიმართებაში, როგორიც ახასიათებს ლიბერალურ მიდგომას.

[1] Bar-Ilan, Judit. "Which h-index?—A comparison of WoS, Scopus and Google Scholar." *Scientometrics* 74, no. 2 (2008): 259.

ა) კონსერვატიული მიდგომა: სკოპუსში ჩამოთვლილი სტატიები

იმ მკვლევართა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც პუბლიკაციები განთავსებული აქვთ სკოპუსში, ძალიან მცირეა. 366 პროფესორიდან მხოლოდ 23–ს (6,3%) აქვს ერთი პუბლიკაცია მაინც, რომელიც განთავსებულია სკოპუსში 2010–2013 წლების განმავლობაში. სულ სკოპუსში განთავსებული სტატიების რაოდენობა შეადგენს 31–ს. წლების მიხედვით პუბლიკაციების გადანაწილება მოცემულია დიაგრამაში 1.

დიაგრამა 1. ქართველი სოციალურ მეცნიერებათა სფეროს მკვლევარების მიერ სკოპუსში განთავსებული პუბლიკაციების რაოდენობა წლების მიხედვით



ჩვენ ასევე შეგვიძლია გამოვითვალოთ ქართველი მეცნიერების ავტორობის რაოდენობა (და არა უნიკალური პუბლიკაციების რიცხვი, რომელიც მოცემული პირველ დიაგრამაზე). მივიღებთ 36 ავტორობას 2010 წლიდან 2013 წლამდე, რაც შეადგენს დაახლოებით 1 სტატიას 50 პროფესორზე. შედეგები მოცემულია მეორე დიაგრამაზე.

დიაგრამა 2. სოციალურ მეცნიერებათა ქართველი პროფესორების ავტორობის მაჩვენებელი სკოპუსის მონაცემთა ბაზაში წლების მიხედვით



პროფესორების მიერ დაწერილი სტატიების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც სკოპუსში იქნა აღრიცხული, 4–ს უდრის. იმ 9 პროფესორიდან, რომელთა ნაშრომიც სკოპუსში არის შესული, 2 წარმოშობით უცხოელია (ერთ-ერთ სტატიას ჰყავს ქართველი თანაავტორები). 366 პროფესორს შორის მხოლოდ ისინი არიან უცხოელები.

როგორც დიაგრამა 3–დან ჩანს, 31 პუბლიკაციიდან 23 თანამშრომლობის შედეგია.

დიაგრამა 3. თანამშრომლობის პროცენტული მაჩვენებელი სკოპუსში განთავსებულ სტატიებში (2010-2013)



ასევე, თითქმის ნახევარს, 15 მათგანს ჰყავს მინიმუმ ერთი უცხოელი თანაავტორი (არ უნდა აგვერიოს იმ ორ უცხოელში, რომლებიც პროფესორებად მუშაობენ საქართველოში). ექვსი პროფესორის ნაშრომი მოხვდა სკოპუსის სიაში თანაავტორების გარეშე (როგორც უცხოელი, ასევე ქართველი). მათგან ორი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოელია.

ყველა იმ პუბლიკაციის ავტორი, რომელიც განთავსებულია სკოპუსში, არის სოციალურ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენელი თბილისში არწსებული უნივერსიტეტებიდან. და ყველა მათგანი, სამის გარდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მეოთხე დიაგრამა გვიჩვენებს ავტორობის გადანაწილებას უნივერსიტეტების მიხედვით.

დიაგრამა 4. ავტორობის გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით (2010-2013)



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება, მეორე ადგილზე მყოფი უნივერსიტეტიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

თუმცა, თუ ჩვენ გვაინტერესებს ავტორობის რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე, მაშინ რეიტინგი შეიცვლება. ილიას უნივერსიტეტი ყველაზე პროდუქტიულია სოციალურ მეცნიერებათა სფეროში წარმოებული კვლევების თვალსაზრისით ერთ პროფესორზე. გრაფიკული ილუსტრაცია იხილეთ მეხუთე დიაგრამაზე.

დიაგრამა 5. ავტორობის მაჩვენებელი ერთ აკადემიურ პერსონალზე (2010-2013)



რაც შეეხება გადანაწილებას დისციპლინების მიხედვით, იხილეთ დიაგრამა 6.

დიაგრამა 6. ავტორობის გადანაწილება დისციპლინების მიხედვით (2010-2013)



სოციოლოგიამ, დემოგრაფიამ და ფსიქოლოგიამ ავტორობის 33% პროცენტი მიიღო. საბჭოთა კვლევებში ორივე სტატიის ავტორი საქართველოში მოღვაწე უცხოელი მკვლევარია.

ბ) ლიბერალური მიდგომა: ავტორობის მაჩვენებელი გუგლ სქოლარში

მეორე მიდგომა ითვალისწინებს ქართველი პროფესორების მხოლოდ იმ პუბლიკაციებს, რომლებიც შესულია გუგლ სქოლარის მონაცემთა ბაზაში. თუმცა აქ ჩვენ შევკრიბეთ სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ქართველი მეცნიერების პუბლიკაციები, და არა ცალკეული პუბლიკაციების რაოდენობა. გუგლ სქოლარში ნაპოვნია ქართველი მეცნიერების ავტორობით შექმნილი 229 პუბლიკაცია იმავე დროის მონაკვეთში. წლების მიხედვით გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე 7.

დიაგრამა 7. სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ავტორობით შექმნილი პუბლიკაციების წლების მიხედვით



ჩვენ ასევე შევამოწმეთ, რომელი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს აქვთ უფრო მეტი სტატია გამოქვეყნებული. შედეგები მოცემულია დიაგრამაზე 8.

დიაგრამა 8. გუგლ სქოლარში ქართველი მეცნიერების ავტორობით განთავსებული ნაშრომები უნივერსიტეტების მიხედვით (2010-2013)



პირველი ადგილი, თანაბარი რაოდენობის პუბლიკაციებით, გაიყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თსუ) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა (ილიაუნი). მესამე ადგილი შავი ზღვის უნივერსიტეტმა დაიკავა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორებს არ ჰქონდა პუბლიკაციები მითითებული პერიოდის განმავლობაში. კავკასიის უნივერსიტეტი და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო 2–2 ნაშრომით, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი - ერთი ნაშრომით.

ჩვენ ასევე დავინტერესდით სხვაობით რეგიონებსა და თბილისს შორის. დიაგრამა 9 გვიჩვენებს, რომ გუგლ სქოლარში განთავსებული ნაშრომებიდან მხოლოდ 1% იყო რეგიონული უნივერსიტეტებიდან. სკოპუსის მონაცემთა ბაზაში კი საერთოდ არ იყო რეგიონის არც ერთი წარმომადგენელი არც ავტორობით, არც თანაავტორობით.

დიაგრამა 9. გუგლ სქოლარში ნაშრომების მაჩვენებელი უნივერსიტეტების მდებარეობის მიხედვით (2010-2013)



ჩვენ ასევე შევამოწმეთ უნივერსიტეტების ტიპი (სახელმწიფო/კერძო) და ნაშრომების განაწილება ამ კრიტერიუმით.

დიაგრამა 10. გუგლ სქოლარში ქართველი მეცნიერების ავტორობით განთავსებული ნაშრომების მაჩვენებელი უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით (2010-2013)



როგორც დიაგრამიდან 10 ჩანს, ნაშრომების მხოლოდ 26% წარმოადგენდა იმ პროფესორებს, რომლებიც მიეკუთვნებიან კერძო უნივერსიტეტების სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე აკადემიურ პერსონალს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვქონდა მეცნიერთა სპეციალიზაციის ზუსტი სია, გადავწყვიტეთ, შესაბამისი ციფრები წარმოგვედგინა დისციპლინების მიხედვით.

დიაგრამა 11. გუგლ სქოლარში სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ქართველი მეცნიერების პუბლიკაციების მაჩვენებელი დისციპლინების მიხედვით (2010-2013)



მეთერთმეტე დიაგრამა გვიჩვენებს, რომ განათლება, სოციოლოგია და ფსიქოლოგია არის ის სამი დისციპლინა, რომელთა წარმომადგენელმა პუბლიკაციების უმრავლესობა გამოაქვეყნეს (მთლიანი ოდენობის 65%). მედია ყველაზე არაპროდუქტიულია დისციპლინებს შორის, რადგან მხოლოდ 6 პუბლიკაცია გამოქვეყნდა ოთხი წლის განმავლობაში.

გ) შუალედური მიდგომა - GRASS–ის ინდექსი

ჩვენ გადავწყვიტეთ მესამე გზის პოვნა, რომელიც ამ ორი უკიდურესი მიდგომის ოქროს შუალედში იქნებოდა. მხოლოდ სკოპუსში მოცემული პუბლიკაციების დათვლა ხელს შეგვიშლიდა იმ მონაცემების შეგროვებაში, რომლებიც დაგვეხმარება საბოლოო სტატისტიკის მისაღებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი პროფესორების მხოლოდ 6%–ის ავტორობით არის მომზადებული პუბლიკაციები სკოპუსში მითითებულ პერიოდში.

თუმცა მეორე, ლიბერალური მიდგომა შრომის პროდუქტიულობას უფრო ზომავს, ვიდრე მის ხარისხს. გუგლ სქოლარში განთავსებული პუბლიკაციების ხარისხიანობა მკვეთრად მერყეობს. ხარისხიანობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი ციტირების ინდექსია. 2014 წლის მდგომარეობით, 366 პროფესორის პუბლიკაციიდან (ოთხი წლის განმავლობაში), მხოლოდ 36 –ის (10%) ნაშრომი აღმოჩნდა ციტირებული გარე წყაროს მიერ გუგლ სქოლარში. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუგლ სქოლარში 97 პროფესორს აქვს განთავსებული პუბლიკაცია. გამოდის, რომ 57 მათგანი (59%) ერთხელაც კი არ არის ციტირებული.

გასაგებია, რომ კორელაცია სქოლარში განთავსებულ პუბლიკაციებსა და ციტირების რაოდენობას შორის საკმაოდ მოკრძლაებულია (0.388). კორელაცია სქოლარსა და სკოპუსში განთავსებულ პუბლიკაციებს შორის კი კიდევ უფრო დაბალი (0.257). სხვა სიტყვებით, სქოლარში განთავსებული პუბლიკაციების შედარებით დიდი რაოდენობა სულაც არ ნიშნავს, რომ ავტორის ნაშრომს ჰქონდა ხილული სამეცნიერო ეფექტი და/ან მისი კვლევა ხარისხიანად იყო ჩატარებული.

ბალანსის აღსადგენად ჩვენ წარმოვადგინეთ GRASS–ის ინდექსი, რომელიც ითვლის გუგლ სქოლარში განთავსებულ პუბლიკაციებს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ კვლევის ხარისხს.

GRASS–ის ინდექსის დასადგენად შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

პუბლიკაციის ქულა =
(1 – TimeCoeff * (2013 – Year)) * (BaseScore + Rank Coeff * SJR + ForeignCoeff * IsForeign + LangCoeff * LangIndex + ExtCiteCoeff * NExtCites + SelfCiteCoeff * NSelfCites) / SQRT(1 + NLocalCoauth + NForeignCoauth)

- TimeCoeff: ამ კოეფიციენტის ეფექტი ახალი პუბლიკაციებისთვის უფრო მაღალი ნიშნულის მინიჭებაში მდგომარეობს. კოეფიციენტი არის 0.1. ეს ნაწილობრივ აბალანსებს იმ ფაქტს, რომ ძველ სტატიებს მეტი დრო ჰქონდათ გამოსაქვეყნებლად (ლიტერატურაში ამას ციტირების ფანჯარა ეწოდება).
- BaseScore: პუბლიკაციას ენიჭება მინიმალური ქულა, მიუხედავად სხვა პარამეტრებისა, როგორიცაა ციტირება, იმფაქტ ფაქტორი და ენა. განსაზღვრულია 0.25–ით.

- RankCoeff: კოეფიციენტი, რომლითაც SciMago ჟურნალის რეიტინგის ფაქტორი მრავლდება. განსაზღვრულია 5.0–ით. მაგალითად, თუ ჟურნალის იმფაქტ ფაქტორია 0.132, მაშინ Rank Coeff * SJR იქნება 5*0.132=0.666
- Foreigncoeff: უდრის 0.5. თუ პუბლიკაცია გამოქვეყნდა უცხოურ ჟურნალში (ან უცხოური გამომცემლობის მიერ) ჩვენ ვამატებთ 0.5 ქულას. IsForeign არის შესაბამისი ფიქტიური ცვლადი.
- LangCoeff: უდრის 0.125–ს და მრავლდება LangIndex–ზე, რომელიც ქართულისთვის არის 0, უცხო ენებისთვის, გარდა ინგლისურისა –1 (რეალურად ჩვენ ურთიერთობა გვაქვს მხოლოდ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებთან) და 2 ინგლისური ენის შემთხვევაში (ეს პროდუქტი ასახავს თუ რამდენად ხელმისაწვდომია სტატია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის).
- ExtCityCoeff: შეადგენს 1.5–ს და მრავლდება გარე წყაროებში ციტირების ინდექსზე, ანუ ციტირების ინდექსი, რომელშიც არ იგულისხმება ავტორის ან თანაავტორების ციტირებები.
- SelfCityCoeff: უდრის 0.5 –ს და მრავლდება ავტორების მიერ სტატიაში მოყვანილი ციტირების მაჩვენებელზე.
- 1+NlocalCouth+NForeignCoauth: რეალურად აღნიშნავს პუბლიკაციის ავტორების რაოდენობას, მაგრამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ ამოგვყავს კვადრატული ფესვი ავტორების რაოდენობიდან. მაგალითად, თუ პუბლიკაციას ჰყავს 9 ავტორი, კოეფიციენტი იქნება 3.

როგორც ამ კოეფიციენტებიდან ვხედავთ, გადამწყვეტი როლი ციტირების რაოდენობას და იმფაქტ (გავლენის) ფაქტორს აქვს. პუბლიკაციას, რომელიც არ არის ციტირებული იმფაქტ- ფაქტორიან ჟურნალში, მაქსიმუმ შეუძლია 1 ქულის დაგროვება (0.25 საბაზო + 0.5 თუ ის გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ + 0.25 თუ ის ინგლისურ ენაზეა). ამავე დროს, თუ პუბლიკაციას აქვს ერთი გარეშე და ერთი შიდა ციტირება, იგი 1.5+0.5=2.0 ქულას მიიღებს, ხოლო თუ ის ასევე განთავსებულია 0.4 იმფაქტფაქტორიან ჟურნალში (Scimago ჟურნალის რეიტინგი) ის ასვე მრავლდება ხუთზე, 5*0.4=2.0.

GRASS-ის ინდექსი პროდუქტიულად იქნა გამოყენებული რეგრესიული ანალიზისთვის. ძირითადი სტატისტიკა აქ არ იქნება წარმოდგენილი, რათა არ გადაიტვირთოს პოლიტიკის დოკუმენტი.

საერთო სამეცნიერო გავლენა – შეჯამება

სოციალურ მეცნიერებებში ქართველ პროფესორთა რაოდენობა, რომლებსაც რაიმე სამეცნიერო გავლენა ჰქონდათ პუბლიკაციების მეშვეობით, 2010-2013 წლებში არ აღემატება 47–ს (11.7%). ეს მაჩვენებელი აღნიშნავს პროფესორების რაოდენობას, რომლებსაც ერთი სტატია მაინც ჰქონდათ ხარისხიან ჟურნალში (სკოპუსის სიაში მყოფი),

ან გამოაქვეყნეს ერთი ციტირებული პუბლიკაცია მაინც. დარჩენილი 355 პროფესორიდან, 50–ს აქვს სქოლარში გამოქვეყნებული ერთი ან მეტი სტატია. მიუხედავად ამისა, არც ერთი მათგანის ნაშრომს არ ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო გავლენა სხვა მეცნიერის კვლევაზე.

სქოლარში განთავსებული პუბლიკაციების ქონა არ ნიშნავს ხარისხიანი კვლევის ჩატარებას: კორელაცია სქოლარში განთავსებულ პუბლიკაციებსა და ციტირებულ პუბლიკაციებს შორის უდრის 0.4-ს. პროფესორების მიერ მოწოდებული პუბლიკაციების სიები კიდევ უფრო სუსტი მაჩვენებელია - მათი ხარისხობრივ ინდიკატორებთან კორელაცია ფაქტიურად ნულის ტოლია. საკუთრივ მოწოდებული პუბლიკაციების რიცხვი სქოლარში და სკოპუსში განთავსებული პუბლიკაციების რიცხვს 8–ჯერ და 61–ჯერ აღემატება.

იმ პროფესორების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რიცხვიც კი, რომლებსაც სამეცნიერო გავლენა ჰქონდათ, ძალიან დაბალია (ყველზე ბევრი - ოთხი), მათი პუბლიკაციების ციტირებაც იშვიათია. მხოლოდ სამი პროფესორის ნაშრომმა მიიპყრო 10 ან მეტი გარე ციტირება.

სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობას საქართველოში

ანალიზის ფარგლები

საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე კვლევების მდგომარეობის ანალიზი ეფუძნება ორმხრივ მიდგომას. ერთი მხრივ, ჩვენ გვაინტერესებს, ზოგადად, საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე კვლევების მდგომარეობა, და მეორე მხრივ, ამ სფეროში მდგომარეობის ცვალებადობა. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სტრუქტურული ფაქტორები ხელს უწყობს საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევების განვითარებას, ხოლო ამ ფაქტორების გავლენა მეტ-ნაკლებად მსგავსია ინდივიდუალურ შემთხვევებში (კონკრეტული პროფესორების შემთხვევაში). როდესაც საქმე ანალიზის მეორე ნაწილს ეხება, ჩვენ ვიკვლევთ ინდივიდუალურ ვარიაციებს, რომლებიც კონკრეტულ ინდივიდებს სხვებისგან განაცალკევებს მათ მიერ წარმოებული კვლევითი პროდუქტის თვალსაზრისით. მეორე შემთხვევაში, ცვლადებად ვიყენებთ მხოლოდ იმ სტრუქტურულ ფაქტორებს, რომლებიც არ იცვლება ცალკეული შემთხვევების მიხედვით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტი იქნება ქვეყნის აკადემიური სფერო, ხოლო მეორე შემთხვევაში - კონკრეტული პროფესორები. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ ჩვენი ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმის განსაზღვრით, თუ რა საშუალებით აღწევენ კონკრეტული მეცნიერები წარმატებას

ერთიან აკადემიური სივრცეში, არამედ გვსურს განვსაზღვროთ ის სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ქართველი მეცნიერის არახელსაყრელ პოზიციას, ზოგადად, აკადემიურ სფეროში. ვაკეთებთ დაშვებას, რომ არსებობს ყოვლისმომცველი სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში კვლევის დაბალ აქტივობას; მათი აღწერა შესაძლებელია ქვეყნის აკადემიური საზოგადოების კვლევის საშუალებით.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში კვლევის შედარებით წარუმატებელი მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ადგენს, არის სხვადასხვა ქვეყნის აკადემიური გარემოს რაოდენობრივი მეთოდოლოგიით შედარება მთავარი სტრუქტურული ცვლადების გათვალისწინებით. თუმცა ეს მოითხოვს დიდი რაოდენობით მონაცემებსა და რესურსებს, რაც აღემატება წინამდებარე პროექტის შესაძლებლობებს. შესაბამისად, ჩვენი მიდგომა გულისხმობს სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარებას საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენელ პროფესორების ჯგუფთან, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ფაქტორები, რასთანაც დაკავშირებულია სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობა საქართველოში. თვისებრივი კვლევის შედეგებს თან დაერთვება მეორადი მოკვლევის კითხვარებიდან მიღებული აღწერითი სტატისტიკური მონაცემები და აკადემიური პერსონალის კითხვარები.

რა თქმა უნდა, თვისებრივი კვლევა, რომელსაც ანალიზის პირველ ნაწილში ვიყენებთ, ვალიდურობის თვალსაზრისით რაოდენობრივი მიდგომა შედარებით შეზღუდულია. თუმცა არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, რაც ამართლებს ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას: პირველი, არსებობს ძალიან ძლიერი კაუზალური მექანიზმები, რომლებიც შესამჩნევია ანალიზში; და მეორე, ზოგი ფაქტორი, რაც განაპირობებს საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევების დაბალ დონეს, დისკურსული ხასიათისაა. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, თვისებრივი კვლევა რაოდენობრივთან შედარებით უფრო რელევანტური და პროდუქტიული აღმოჩნდეს.

თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს მატერიალური საზომი კრიტერიუმების ნაკლებობა. კვლევითი დასკვნების ნაწილი უფრო მეტად ეფუძნება პროფესორების სუბიექტურ შეფასებებს, და უფრო ნაკლებად ობიექტური ფაქტორების შეფასებას/შედარებას. მეორადი მოკვლევის კითხვარები, აკადემიური პერსონალის კითხვარები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემები და სხვა მასალები ერთგვარ ობიექტურ სურათს გვაძლევს, მაგრამ, ზოგადად, რამდენიმე შემთხვევაში არ არსებობს შემაჯამებელი საზომი კრიტერიუმი (მაგალითად, ინფრასტრუქტურული პრობლემების შეფასება). მიუხედავად ამისა, ჩვენი კვლევა მოამზადებს საფუძველს უფრო ღრმა კვლევისთვის. თანაც, პროფესორების სუბიექტური შეფასება მნიშვნელოვანია საჯარო პოლიტიკის ანალიზისთვის, რადგან მისი საშუალებით ვიგებთ, თუ რამდენად აღიქვამენ თავად პროფესორები შესაძლებლობების ნაკლებობას, დაბალი დონის აკადემიური გარემოსა და თანამედროვე პარადიგმების არარსებობას სოციალურ მეცნიერებებში.

სტრუქტურული ფაქტორების ოთხი ტიპი, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მეცნიერებებში კვლევის შედეგებს საქართველოში

ჩვენ განვსაზღვრეთ სტრუქტურული ფაქტორების ოთხი ტიპი, რაც განაპირობებს სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებულ კვლევით შედეგებს საქართველოში: დაფინანსების ნაკლებობა, ინსტიტუციური ფაქტორები, ცოდნის ლოკალიზება და საბჭოთა მემკვიდრეობა.

დაფინანსების ნაკლებობა

ა) დაბალი ხელფასები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა და ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების შეზღუდული დაფინანსება სოციალურ მეცნიერებების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად აღიქმება საქართველოში. მსოფლიო ბანკის მსოფლიოს განვითარების ინდიკატორები მოიცავს მონაცემებს უმაღლესი განათლების სფეროში ერთ სტუდენტზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების შესახებ. სახელმწიფო ხარჯები ერთ სტუდენტზე წარმოადგენს შემდეგს: საჯარო მიმდინარე და ძირითადი ხარჯები განათლებაზე გაყოფილი სტუდენტების რაოდენობაზე (დონეების მიხედვით), როგორც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) პროცენტი.

დიაგრამა 12 გვიჩვენებს, რომ 2008-2011 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დაახლოებით 11%-12% იხარჯებოდა თითოეულ სტუდენტზე. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით (ევროპა და ცენტრალური აზია), გარდა ყაზახეთისა და სომხეთისა. მხოლოდ 2012 წელს გაზარდა საქართველომ დაფინანსება 17%-28%-მდე. აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მეტად განათლებას ეხება, ვიდრე მეცნიერების განვითარებას, თუმცა ნათლად აჩვენებს, თუ რა დონეზე მიაჩნია სახელმწიფოს უნივერსიტეტები პრიორიტეტად.

დიაგრამა 12. 2008-2012 წლებში უმაღლეს განათლებაში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ერთ სტუდენტზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები



წყარო: მსოფლიო ბანკი, გუგლის საჯარო მონაცემები (World Bank, Google Public Data)

თუმცა იმისთვის, რომ უკეთ გავიაზროთ, რა გავლენა აქვს დაფინანსებას სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებულ კვლევებზე, საჭიროა შევხედოთ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ფაქტობრივ ბიუჯეტებს. ამ მიზნით, შევადგინეთ მეორადი მოკვლევის კითხვარი, რომელიც გავავრცელეთ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო უნივერსიტეტებშიც. ვინაიდან აღიარებული სიმართლეა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ხარჯვა ვერ განაპირობებს პროდუქტიულობისა და კვლევითი შედეგების დაბალ დონეს, კერძო დანახარჯები ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული.

დიაგრამა 13 გვიჩვენებს კონკრეტული პროფესორების საშუალო შემოსავალს აკადემიური საქმიანობიდან 2013 წელს.

დიაგრამა 13. საშუალო აკადემიური შემოსავალი 2013 წელს (N=260)



პროფესორების უმრავლესობის (68%) შემოსავალი აკადემიური საქმიანობიდან მერყეობდა 501-2000 ლარის ფარგლებში. პროფესორების 15%-ის ხელფასი 500 ლარზე ნაკლები იყო. მხოლოდ 17%-ს ჰქონდა 2000 ლარზე მეტი შემოსავალი.

თუმცა ზემოთ აღნიშნული შედეგების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ პროფესორების საკმაოდ დიდი ნაწილი ერთზე მეტ უნივერსიტეტში მუშაობდა - ასეთია 89 პროფესორი 278-დან. თუ აღნიშნულ 89 პროფესორს შერჩევიდან ამოვიღებთ, აბსოლუტურად სხვანაირ სტატისტიკას მივიღებთ.

დიაგრამაში 14 წარმოდგენილია მხოლოდ იმ პროფესორების ხელფასები, რომლებიც მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან არიან ასოცირებულნი.

დიაგრამა 14. მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან ასოცირებული პროფესორების საშუალო აკადემიური ხელფასები (N=179)



დიაგრამა 14-დან ცხადად ჩანს, რომ არსებითი სხვაობა მასში მოცემულ რიცხვებსა და დიაგრამა 13-ის მონაცემებს შორის არ არის. ორივე დიაგრამის მონაცემების შედარება თითქმის შესაძლებელია.

თუ ერთ უნივერსიტეტთან ასოცირებულ 89 პროფესორს გამოვრიცხავთ, მაშინ შევძლებთ ერთმანეთს შევადაროთ საშუალო ხელფასები კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში, და თბილისსა და რეგიონში განლაგებულ უნივერსიტეტებში. სამწუხაროდ, მეორადი მოკვლევის კითხვარისთვის ჩვენი მოთხოვნის პასუხად თავად უნივერსიტეტებმა არ მოგვაწოდეს რიცხვები, რომლებიც საშუალო ხელფასებს ასახავდა. შესაბამისად, იძულებულები გავხდით, შედარება აკადემიური პერსონალის კითხვარებზე დაყრდნობით მოგვეხდინა (იხილეთ დიაგრამები 15 და 16).

დიაგრამა 15. საშუალო აკადემიური შემოსავალი სახელმწიფო უნივერსიტეტებში 2013წელს (N=136)



დიაგრამა 16. საშუალო აკადემიური შემოსავალი კერძო უნივერსიტეტებში 2013 წელს (N=38)



დამოუკიდებელი შერჩევის T-ტესტი გვიჩვენებს, რომ კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში საშუალო აკადემიურ შემოსავალს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. თუმცა ამის მიზეზს შეიძლება ის ფაქტი წარმოადგენდეს, რომ კერძო უნივერსიტეტებში პროფესორების რაოდენობა ძალიან მცირეა (N=38).

იგივე დამოუკიდებელი შერჩევის T-ტესტი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა თბილისის და რეგიონული უნივერსიტეტების აკადემიურ შემოსავალს შორის. პატარა შერჩევამაც (N=174) კი გვიჩვენა, რომ ასეთი განსხვავება არსებობს (P<0.01). თბილისში საშუალო ხელფასი 793 ლარი დაფიქსირდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

გრაფიკულად აღნიშნული სხვაობა წარმოდგენილი დიაგრამებში 17 და18.

დიაგრამა 17. საშუალო აკადემიური შემოსავალი რეგიონულ უნივერსიტეტებში 2013 წელს (N=46)



დიაგრამა 18. საშუალო აკადემიური შემოსავალი თბილისის უნივერსიტეტებში 2013 წელს (N=128)



დაბალი ხელფასების საკითხი თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების დროს. პროფესორებმა, რომელთაგანაც ინტერვიუ ავიღეთ, ხაზგასმით აღნიშნეს აკადემიური პერსონალისთვის ხელფასების გაზრდის აუცილებლობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე, რამაც საქართველოს ჩამორჩენა კვლევითი აქტივობის თვალსაზრისით გამოიწვია. მშფოთვარე 90-იანი წლების, საბჭოთა კავშირის ნგრევისა და სამოქალაქო ომების დროს მხოლოდ უზომო ენთუზიაზმისა და მოტივაციის მქონე პროფესორებმა გადაწყვიტეს აკადემიაში დარჩენა და სოციალურ მეცნიერებებში კარიერის გაგრძელება. ანაზღაურება სიმბოლური იყო და პროფესორები სამუშაოს აკადემიის გარეთ ეძებდნენ, ძირითადად კი - არასამთავრობო სექტორში.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო რეფორმა დაიწყო და სახელმწიფომ რადიკალური ზომები მიიღო კორუფციის აღმოსაფხვრელად, მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო სტანდარტების ასამაღლებლად. ზოგმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა მკვეთრად გაზარდა აკადემიური პერსონალის ხელფასები შედარებით ნორმალურ ნიშნულამდე (ქართული სტანდარტით). თუმცა, როგორც ცნობილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა უფროსმა პროფესორმა შენიშნა სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ხელფასები მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა აკადემიური პერსონალისთვის, რომლებიც სრულად უძღვნიან თავიანთ ცხოვრებას სამეცნიერო კარიერას.

იგივე საკითხი წამოჭრა ერთ-ერთი რეფორმირებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირმა. სიღრმისეული ინტერვიუს დროს მან განაცხადა:

„დღესაც უამრავი ადამიანი, რომელიც ძალიან წარმატებულნი იქნებოდა აკადემიაში, ვერ ერთვება აკადემიურ საქმიანობაში, რადგან გაცილებით მეტ შესაძლებლობას ხედავს აკადემიის გარეთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც აკადემიური კარიერა მათთვის მეორე ადგილზეა, და არა პირველზე. თუ იქნება საგრძნობი ფინანსური ინტერესი და

აკადემიური და არააკადემიური კარიერა თანაბრად იმედის მომცემი გახდება, ვფიქრობ, საგრძნობლად გაიზრდება პროდუქტიულობა და ზოგადი სიტუაცია გაუმჯობესდება.“

კერძო უნივერსიტეტების პროფესორებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც გაიზიარეს ეს აზრი. თბილისში მდებარე ერთ-ერთი პრესტიჟული კერძო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა ხაზი გაუსვა, სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით, კონკრეტულად, კერძო ინსტიტუტებში აკადემიური გარემოს დამატებით ხარვეზებს. კითხვაზე, რა არის საჭირო სტატიის გამოსაქვეყნებლად საჭირო მაღალი დონის კვლევის ჩასატარებლად, მან განაცხადა:

“სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია კერძო უნივერსიტეტებში, რადგან ისინი ოპერირებენ მხოლოდ სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადებით. სახელმწიფო უნივერსიტეტებში პროფესორებს, რომლებიც ასწავლიან და ამავე დროს კვლევასაც ატარებენ, კვლევა მათი სამუშაო დატვირთვის ნაწილად უნდა ჩაეთვალოთ. კერძო უნივერსიტეტებში ეს უზომოდ არამომგებიანია. მსგავსი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მე ვასწავლიდი კვირაში 5 საათს, ნაცვლად კვირაში 18 საათისა და დანარჩენ დროს კვლევას დავუთმობდი.“

ამას მივყავართ უფრო კონკრეტულ და უშუალო პრობლემამდე, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მდგომარეობასთან საქართველოში: სამეცნიერო (და არა საგანმანათლებლო) აქტივობებისთვის დაფინანსების ნაკლებობა. როგორც ზემოთ მოცემულ ინტერვიუში აღინიშნა, კერძო უნივერსიტეტებს უფრო ნაკლები ფუფუნება აქვთ იმისა, რომ კონკრეტულად კვლევითი აქტივობებისთვის გამოყონ დაფინანსება. ამიტომაც კერძო უნივერსიტეტებში ანაზღაურების მეთოდი უფრო მეტადაა დაკავშირებული კონკრეტული პროფესორების სასწავლო საათების რაოდენობასთან.

ბ) სოციალურ მეცნიერებებში კვლევითი პროექტების დაფინანსების ნაკლებობა

ჩვენმა რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ სოციალურ მეცნიერებებში კვლევითი პროექტების დაფინანსების ნაკლებობაა როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საშუალებით გასცემს დაფინანსებას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უნივერსიტეტები და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები არ გამოყოფენ თანხებს კვლევების ჩასატარებლად კონკრეტულად სოციალურ მეცნიერებებში.

კერძო დაფინანსება, ძირითადად, საერთაშორისო დონორებიდან მოდის, და არა ადგილობრივი წყაროებიდან ან კერძო უნივერსიტეტებიდან. პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებულ სიტუაციაში გასარკვევად შევიმუშავეთ კითხვარი, რომელიც დავუგზავნეთ ძირითად დონორ ორგანიზაციებს. ფაკულტეტების დონეზე ჩატარებულ გამოკითხვასთან, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებთან

ერთად, აღნიშნული კითხვარი გვეხმარება დაფინანსების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ზოგადი სიტუაციის შეფასებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფინანსურად ყველაზე მეტად სუბსიდირებულ სახელმწიფო სასაწავლებელში, არ არსებობს დაფინანსება საუნივერსიტეტო დონეზე, როგორც ეს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის ერთ-ერთმა პირმა გვითხრა. მან აღნიშნა:

„უნივერსიტეტი საერთოდ არ აფინანსებს კვლევით პროექტებს. ეს ნიშნავს, რომ ზოგჯერ პროფესორი საკუთარ ფინანსებზეა დამოკიდებული. ყოველთვის დონორის დაფინანსების იმედადაც ვერ იქნები, კვლევა ყოველ მიზეზ გარეშე უნდა ჩაატარო და დაასრულო ის საქმე, რომელიც დაიწყე."

იგივე პირმა ასევე აღნიშნა, რომ კვლევითი პროექტებისთვის დამატებითი დაფინანსების გარეშე ვირტუალურად შეუძლებელი იქნებოდა სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩატარება. მკვლევარმა უნდა ჩაატაროს ინტერვიუ, ორგანიზება გაუკეთოს ფოკუს-ჯგუფს, მოამზადოს კითხვარი, და ა.შ. ეს ყველაფერი კი ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, რომელსაც ვერ გამოყოფ მკვლევარის ხელფასიდან.

აზრის გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ მკვლევარების 91% მიიჩნევს, რომ კვლევისთვის ფინანსების გამოყოფა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩატარებას უდგას წინ. ამასვე მოწმობს დიაგრამა 19.

დიაგრამა 19. არის თუ არა ფინანსების გამოყოფა მთავარი პრობლემა? (N=263)



გ) ინფრასტრუქტურის ნაკლებობა

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საჩივრები, ძირითადად, ეხება კვლევითი ბიბლიოთეკების არარსებობას და, JSTOR-ისა და EBSCO-ს გარდა, სხვა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე ხელმიუწვდომლობას.

მაგალითად, კვლევით ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა განაცხადა:

„ჩემი აზრით, ეს დაკავშირებულია სხვა დეფიციტის არსებობასთან. თუმცა ეს დეფიციტი სულ უფრო და უფრო ნაკლებია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის წვდომა კვლევით ბიბლიოთეკებზე. არის ადგილები, სადაც შეგიძლიათ JSTOR-ით და მსგავსი ბაზებით ისარგებლოთ; უფრო მარტივია სტატიის მოძებნა PDF ფორმატში, ელექტრონულად უამრავი ლიტერატურა არსებობს. მაგრამ ეს სულაც არ ჰგავს ნამდვილ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ყოფნას: არის ზოგიერთი ბიბლიოთეკა, რომელიც საკმაოდ კარგადაა აღჭურვილი, მაგრამ პრობლემა საერთაშორისო ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში მდგომარეობს.“

იმავე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი ასევე ამბობს, რომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, როგორიცაა JSTOR და EBSCO, არასაკმარისია მაღალი დონის კვლევის ჩასატარებლად. მან აღნიშნა, რომ „JSTOR და EBSCO შეიცავს არქივებს; აბსოლუტურად სხვაა, როდესაც გაქვს წვდომა ყველაზე მნიშვნელოვან, თანამედროვე პუბლიკაციებთან დისციპლინაში.“

სამწუხაროდ, ჩვენ არ ჩაგვიტარებია ფართომასშტაბიანი კვლევა ბიბლიოთეკების შესახებ, მაგრამ ეს არის სფერო, რომელიც უფრო ღრმად უნდა შეისწავლოს სახელმწიფომ და კერძო დონორებმა და შესაბამისი ინვესტიციებიც გასწიონ.

ინსტიტუციური ფაქტორები

a) შეზღუდული დრო კვლევის ჩასატარებლად

კიდევ ერთი ინსტიტუციური ფაქტორი, რომელიც უკან სწევს სოციალურ მეცნიერებებში კვლევების ჩატარების საკითხს, არის დროის ნაკლებობა კვლევითი აქტივობებისთვის. ეს მჭიდროდაა დაკავშირებული დაბალი ხელფასების პრობლემასა და კვლევითი გრანტების ნაკლებობასთან, თუმცა ანალიტიკური თვალსაზრისით, ეს ცალკე პრობლემას წარმოადგენს.

აღნიშნული პრობლემა ორ ნაწილად იყოფა: პირველი, დროის ნაკლებობა კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად ჭარბი სასწავლო დატვირთვის გამო, და მეორე, დროის ნაკლებობა ადმინისტრაციული და არააკადემიური მოვალეობების გამო. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური თანამდებობის მქონე პროფესორები ამ პრობლემასთან დაკავშირებით შემდეგ კომენტარს აკეთებენ:

„გარდა ამისა, ვფიქრობ, ის ფაქტიც, რომ რთულია იცხოვრო მხოლოდ მკვლევრის ხელფასზე, ძალიან ბევრი მეცნიერი მხოლოდ მეცნიერებით არაა დაკავებული. მათი ნაწილი ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მუშაობს, საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები აქვთ, მთავრობის წევრები არიან, ან სხვა საქმით არიან დაკავებულნი, რაც ვფიქრობ, ხელს უშლის მათ სრულად მიუძღვნან საკუთარი თავი კვლევას.“

იმავე პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. კერძო უნივერსიტეტებმაც აღნიშნეს, რომ პროფესორებს აქვთ სტიმული, გაზარდონ საკუთარი სასწავლო დატვირთვა, რადგან ეს ხელფასის მომატების ერთადერთი საშუალებაა.

აზრის გამოკითხვამ ასევე გამოავლინა, რომ კვლევისთვის არსებული შეზღუდული დრო პროფესორებისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. დიაგრამა 20 ასახავს პროფესორების 20%-ის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი სასწავლო დატვირთვა ხელს უშლის კვლევის ჩატარებას სოციალურ მეცნიერებებში.

დიაგრამა 20. არის თუ არა სასწავლი დატვირთვა პრობლემა სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩასატარებლად? (N=251)



დიაგრამა 21 გვიჩვენებს კვლევისთვის შერჩეული პროფესორების არსებულ სასწავლო დატვირთვას.

დიაგრამა 21. პროფესორების კვირის სასწავლო დატვირთვა 2013 წელს (N=272)



კვლევის პატარა შერჩევა (N=174), რომელსაც მოაკლდა ის პროფესორები, რომლებიც ერთზე მეტ უნივერსიტეტთან არიან ასოცირებულნი, გვიჩვენა, რომ არსებობს კორელაცია სასწავლო დატვირთვასა და კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში სწავლებას შორის, სადაც P<0.05 (ორმხრივი კრიტერიუმი). სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს უფრო მძიმე სასწავლო დატვირთვა აქვთ, ვიდრე მათ კოლეგებს კერძო უნივერსიტეტებიდან (საშუალო განსხვავება - 1.65). გრაფიკულად აღნიშნული შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებში 22 და 23.

დიაგრამა 22. კვირის სასწავლო დატვირთვა კერძო უნივერსიტეტებში 2013 წელს (N=44)



დიაგრამა 23. კვირის სასწავლო დატვირთვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში 2013 წელს (N=139).



თუმცა აღნიშნული განსხვავება არ ნიშნავს, რომ კერძო უნივერსიტეტებში კვლევა უფრო პრიორიტეტულია. პირიქით, არც კერძო და არც სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის კვლევა პრიორიტეტული არ არის, ხოლო მძიმე სასწავლო დატვირთვა ორივე ტიპის უნივერსიტეტებში იმაზე მეტყველებს, რომ სწავლებასთან შედარებით კვლევით აქტივობებს მეორე ადგილი უჭირავს.

პატარა შერჩევა (N=174) მოწმობს, რომ სასწავლო დატვირთვებთან დაკავშირებით ასევე არსებობს სხვაობა ცენტრალურ და რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის ($p<0.05$). რეგიონულ უნივერსიტეტებში სასაწავლო დატვირთვა, როგორც წესი, უფრო მეტია, მაგრამ თუ უფრო დიდ შერჩევას შევადარებთ (N=272), განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღარ არის. ეს ნიშნავს, რომ იმ პროფესორებს, რომლებიც ერთზე მეტ უნივერსიტეტში მუშაობენ, თბილისში თითქმის იგივე სასწავლო დატვირთვა აქვთ, ვიდრე მათ კოლეგებს რეგიონიდან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული დროის პრობლემის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროფესორები არააკადემიურ აქტივობებში არიან ჩართულნი.

დიაგრამა 24. არის თუ არა მძიმე არააკადემიური სამუშაო დატვირთვა წინაღობა სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩატარებისთვის? (N=252)



დიაგრამა 24 გვიჩვენებს, რომ რესპონდენტების 74%-ის აზრით, მძიმე სამუშაო დატვირთვა, რომელიც არააკადემიურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული წინაღობას წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებში კვლევების ჩასატარებლად.

დიაგრამა 25. არააკადემიურ საქმიანობაზე დახარჯული საათები კვირის განმავლობაში 2013 წელს (N=240)



დიაგრამა 25-ის თანახმად, პროფესორების მხოლოდ 13% არ არის არააკადემიურ აქტივობებში ჩართული.

ზემოთ აღნიშნული არააკადემიური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მათგან მიღებულ შემოსავალთან, როგორც ეს ასახულია ცხრილში 2. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტ დროს ხარჯავს ადამიანი არააკადემიურ საქმიანობაზე, მით მეტად იზრდება მისი შემოსავალი ამ აქტივობებიდან. შესაბამისად, პროფესორის დრო (განკუთვნილი არააკადემიურ საქმიანობისთვის) იხარჯება შემოსავლის გენერირებად აქტივობებზე.

ცხრილი 2. კორელაცია არააკადემიური საქმიანობიდან მიღებულ საშუალო შემოსავალსა (2013) და არააკადემიურ დატვირთვას შორის (2013)

		საშუალო თვიური შემოსავალი არააკადემიური საქმიანობიდან (2013)	არააკადემიური სამუშაო დატვირთვა (2013)
საშუალო თვიური შემოსავალი არააკადემიური საქმიანობიდან (2013)	პირსონის კორელაცია	1	,469**
	მნიშვნელობა (ორმხრივი კრიტერიუმი)		,000
	N	188	177
არააკადემიური სამუშაო დატვირთვა (2013)	პირსონის კორელაცია	,469**	1
	მნიშვნელობა (ორმხრივი კრიტერიუმი)	,000	
	N	177	240

** კორელაცია მნიშვნელოვანი 0.01 დონეზე (ორმხრივი კრიტერიუმი)

არააკადემიურ საქმიანობაზე დახარჯული საშუალო დრო დაახლოებით კვირაში 17 საათის ტოლია თბილისში, და 12,5 საათისა - რეგიონებში. განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის მნიშვნელოვანია - $p<0.05$. დიაგრამებში 26 და 27 წარმოდგენილია აღნიშნული განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. ეს ნიშნავს, რომ თბილისში უფრო მეტი შესაძლებლობებია, ვიდრე რეგიონებში, რომლის საშუალებითაც საშუალო პროფესორს შეუძლია შემოსავლის გაზრდა.

დიაგრამა 26. რეგიონებში არააკადემიურ საქმიანობაზე დახარჯული დრო კვირაში 2013 წელს (N=46)



დიაგრამა 27. თბილისში არააკადემიურ საქმიანობაზე დახარჯული დრო კვირაში 2013 წელს (N=194)



შესაძლებელია არააკადემიური საქმიანობისა და სასწავლო დატვირთვის შედარებაც (შედარების შედეგები მოცემულია დიაგრამაში 28).

დიაგრამა 28. სწავლებასა და არააკადემიურ საქმიანობაზე კვირაში დახარჯული საათების საშუალო მაჩვენებელი 2013 წელს (N=240)



საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალოდ, დაახლოებით 5.4 საათი იხარჯება სწავლებასა და არააკადემიურ საქმიანობაზე ერთად. ეს წარმოადგენს სამუშაო დღის 68%-ს. დღეში შესაძლებელია მხოლოდ 2.5 საათის გამოყოფა კვლევითი აქტივობებისთვის (იხ. დიაგრამა 29). თუ გავითვალისწინებთ, რომ გარდა ლექციების ჩატარებისა, სწავლება სხვა მოვალეობებსაც მოიცავს (ლექციის მომზადება, შუალედური და საბოლოო გამოცდები, სტუდენტების საშინაო დავალებების გასწორება, ა.შ.), კვლევისთვის დრო პრაქტიკულად აღარ რჩება. საშუალო პროფესორისთვის კვლევისთვის დროის გამონახვის ერთადერთი საშუალებაა დღეში რვა საათზე მეტი მუშაობა და/ან მისი არააკადემიური საქმიანობის როგორღაც დაკავშირება კვლევასთან (არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები, რომლებიც მოიცავს მონაცემების შეგროვებას; ისეთ გარემოში მუშაობა, სადაც ასევე ხორციელდება კვლევა; ა.შ).

დიაგრამა 29. სწავლებასა და არააკადემიურ საქმიანობაზე დახარჯული საშუალო დრო დანარჩენ სამუშაო დღესთან მიმართებაში 2013 წელს



დიაგრამა 30-ის თანახმად, რესპონდენტების 62%-ისთვის დროის უქონლობა წარმოადგენს პრობლემას სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩასატარებლად.

დიაგრამა 30. არის თუ არა კვლევისთვის დროის უქონლობა პრობლემა? (N=260)



ბ) **უნივერსიტეტებში კვლევის ხელშეწყობისთვის არსებული სუსტი აღსრულების მექანიზმები**

ზოგიერთი პროფესორისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, არ ხდება პროფესორების შეფასება გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა:

„პროფესორებს ბოლომდე არ ესმით, რომ მათი თანამდებობა, გარდა სწავლებისა, კვლევის ჩატარებასაც მოითხოვს. სერიოზულად ვეჭვობ, რომ ბევრი პროფესორი არ გრძნობს კვლევის ჩატარების ვალდებულებას. სინამდვილეში, კონტრაქტის თანახმად, პროფესორები ორივეს უნდა აკეთებდნენ: ასწავლიდნენ და ატარებდნენ სამეცნიერო კვლევას.“

იმავე რესპოდენტის აზრით, ეს უნივერსიტეტის ბრალიცაა. არავინ ამოწმებს, თუ ვინ ატარებს კვლევას და ვინ არა, ეს ასევე არ აისახება ხელფასზე. პროფესორები თანამონაწილეობენ არასწორი სისტემის შენარჩუნებაში, რადგან არ ითხოვენ ადმინისტრაციისგან წესების შეცვლას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი და ერთ-ერთი პროფესორი საპირისპიროს ამტკიცებენ. მათი ინფორმაციით, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტში კვლევის წარმოება მნიშვნელოვნად აისახება აკადემიურ პოზიციაზე, და შესაბამისად, ხელფასებზეც.

თავად პროფესორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, უნდა აისახოს თუ არა სამეცნიერო აქტივობა ხელფასებსა და აკადემიურ დაწინაურებაზე.

დიაგრამა 31. იმფაქტფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები უნდა აისახოს პროფესორის ხელფასზე (N=232)



დიაგრამა 32. იმფაქტფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები უნდა აისახოს პროფესორის აკადემიური დაწინაურებაზე (N=234)



როგორც ეს დიაგრამებიდან 31 და 32 ჩანს, გამოკითხულ პროფესორთა 60% ეთანხმება იმას, რომ აკადემიური შედეგები უნდა ისახებოდეს პროფესორის ხელფასზე, მაშინ როცა 78% მიიჩნევს, რომ ეს ფაქტორი გავლენას უნდა ახდენდეს პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე დაწინაურებაზე. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს არ ეთანხმება 40% და 22%. ფოკუს-ჯგუფების დროს, ამ საკითხმა ასევე წამოიწია, რადგან ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომლის აზრით, პროფესორები, როგორც წესი, ვერ იაზრებენ იმ ფაქტს, რომ ისინი კვლევის ჩასატარებლადაც არიან დაქირავებულნი და არა მხოლოდ სწავლებისთვის.

საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორების უმრავლესობა ეთანხმება ანაზღაურებისა და აკადემიური დაწინაურების მიბმას კვლევით აქტივობებზე, ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი აზრი.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა ორმხრივია: პირველი, არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც პროფესორებს სტიმულს მისცემდა გამოექვეყნებინათ იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში (და არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, უნდა არსებობდეს თუ არა ასეთი მექანიზმები), და მეორე მხრივ, პროფესორებს თავად ვერ გრძნობენ ვალდებულებას, რომ სტატიები გამოაქვეყნონ. ამ უკანასკნელ მოსაზრებას კიდევ ერთხელ ამტკიცებს პროფესორებს შორის ჩატარებული აზრის გამოკითხვა.

პროფესორების აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ, ზოგადად, ყველა თანხმდება იმ აზრს, რომ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება აუცილებელია აკადემიური პოზიციისთვის. დიაგრამა 33-ის თანახმად, გამოკითხული 250 სოციალურ მეცნიერთა 90% ეთანხმება ამ მოსაზრებას. მეცნიერთა მხოლოდ 9% არ ეთანხმება, ან თავს იკავებს პასუხისგან.

დიაგრამა 33. სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება აუცილებელია ჩემი აკადემიური პოზიციისთვის (N=250)



პროფესორების უმეტესობა ასევე ეთანხმება იმ აზრს, რომ იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნება საკმარისია მათი აკადემიური პოზიციისთვის.

დიაგრამა 34. რა ტიპის აკადემიურ ჟურნალებშია საკმარისი სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება? (N=250)



დიაგრამა 34 გვიჩვენებს, რომ პროფესორების 82%-ის აზრით შესაფერისია იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვყენება. მხოლოდ 9% ფიქრობს, რომ ადგილობრივ არა იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება საკმარისია აკადემიური

თანამდებობისთვის. 4%-ის აზრით, გამოქვეყნება საჭირო არ არია, ხოლო 5%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

როდესაც საქმე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებას ეხება, აზრი მკვეთრად იყოფა. დიაგრამა 35-ის თანახმად, პროფესორების 54% მიიჩნევს, რომ პროფესორმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოაქვეყნოს სტატია. 18%-ის აზრით, რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამოქვეყნება საკმარისია. 9%-ს ამის შესახებ აზრი არ გააჩნია.

დიაგრამა 35. რამდენ ხანში ერთხელ უნდა აქვეყნებდეს თქვენი აკადემიური თანამდებობის მქონე პროფესორი იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში? (N=243)



ზოგადად, სტატისტიკის თანახმად, პროფესორების უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ გამოქვეყნება აუცილებელია, თუმცა არ არსებობს ძლიერი საერთო აზრი გამოქვეყნების სიხშირის შესახებ. ამის მიზეზი კვლავაც მოტივაციის ნაკლებობა, და ცხადია, უნივერისტეტებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არ არსებობაა. ეს უკანასკნელი დააბალანსებდა პროფესორებს შორის კონსენსუსის არ არსებობას სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების სიხშირესთან დაკავშირებით.

გ) სახელმწიფო გრანტების განაწილების არაადეკვატური და არასამართლიანი კრიტერიუმები

სიღრმისეული ინტერვიუების დროს ზოგი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩიოდა, რომ სახელმწიფო (განსაკუთრებით კი რუსთაველის სამეცნიერო ფონდი) სამართლიანად არ ანაწილებს კვლევით გრანტებს. მაგალითად, ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა აღნიშნა:

„ჩემი აზრით, საქართველოს მთავრობის მიერ კვლევისთვის გამოყოფილი დაფინანსება, ძირითადად, მიმართულია უფროსი პროფესორების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, და ამ განხრით მიკერძოებულია.“

იმავე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირმა ასევე აღნიშნა, რომ რუსთაველის ფონდი კონკრეტულ სფეროებში არც ისე კომპეტენტურია. ფონდის ექსპერტიზა ბოლომდე ადექვატური არაა სოციალურ მეცნიერებებში კვლევითი პროექტების შესაფასებლად.

მსგავსი შენიშვნა გააკეთა თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმაც:

„განათლების სამინისტრომ პოლიტიკური პრეფერენციების ნაცვლად, ობიექტური საზომებით უნდა იმოქმედოს. უნივერსიტეტები კონკრეტული სამეცნიერო შედეგების მიხედვით უნდა ფასდებოდნენ. ხოლო განათლების სამინისტრომ ე.წ. ბლოკ გრანტები უნდა გასცეს. ეს გრანტები შეიძლება გამიზნული იყოს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კვლევითი ან სხვა ტიპის აქტივობების მხარდაჭერაზე. უნივერსიტეტებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, სად დახარჯონ ფული.“

როგორც ზემოთ მოტანილი ციტატებიდან ჩანს, ეს საკითხი პოლიტიკურად ზედმეტად დატვირთული და წინააღმდეგობრივია. სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების სამართლიანობის დასადგენად დამატებითი კვლევაა საჭირო.

დ) სამაგისტრო დონეზე კვლევის ჩატარებაზე ნაკლები ყურადღების გამახვილება და სადოქტორო პროგრამების სუსტი ხარისხი

კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დროს წინ წამოიწია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაბალი ხარისხის საკითხმა. ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგ უნივერსიტეტში მაგისტრანტებს არ მოეთხოვებათ კვლევის ჩატარება, რაც მათი კვლევითი უნარების განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი პირობაა.

აღნიშნული საკითხი ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტებში მეთოდოლოგიური კურსების სწავლებასთან. ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელმა ასევე აღნიშნა, რომ ჰყავთ მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალი, რომელიც მეთოდოლოგიას ასწავლის. და ის მანამდე დასავლეთის უნივერსიტეტში იყო მივლინებული სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებადი მეთოდოლოგიის შესასწავლად. სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, ადგილობრივი უნივერსიტეტები ამერიკელ და ევროპელ მეცნიერებს იწვევენ მეთოდოლოგიური კურსების სასწავლებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ორმა წარმომადგენელმა ასევე გაიხსენა, რომ მათ მიერ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის წარმატებით გამოქვეყნება დაკავშირებული იყო ამერიკულ უნივერსიტეტებში ყოფნის დროს მეთოდოლოგიური ტრენინგების გავლასთან. მსგავსი შესაძლებლობა საქართველოს უნივერსიტეტებში არ არსებობს.

ე) ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი აკადემიური გარემოს არარსებობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა უფროსმა პროფესორმა აღნიშნა, რომ აკადემიურ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ხელშეწყობისთვის. მან აღგვიწერა საზღვარგარეთ გატარებული წლები და კარიერის დასაწყისში მიღწეული წარმატება აკადემიურ დისკუსიებსა და აზრის გაცვლა-გამოცვლას მიაწერა, რასაც მის მასპინძელ უნივერსიტეტში ჰქონდა ადგილი.

ვფიქრობთ, რომ პრობლემა მდგომარეობს იდეების ნაკლებობაში, რომლის გაცვლაც უნდა ხდებოდეს (ასევე ამ იდეების ხარისხშიც), თუმცა სამეცნიერო შედეგებზე გარემოს დიდი გავლენა აქვს, რადგან ის ხელს უწყობს წარმატებულ თანამშრომლობას კვალიფიციურ მეცნიერებს შორის. ქართულ კონტექსტში, კვალიფიციური მკვლევარების აშკარა ნაკლებობა ართულებს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც თანამშრომლობას მოითხოვს.

დიაგრამა 36 გვიჩვენებს, რომ რესპოდენტთა 61%-ის აზრით, მაღალკვალიფიციური მკვლევარების ნაკლებობა პრობლემაა სოციალურ მეცნიერებებში წარმატებული კვლევის ჩატარებისთვის.

დიაგრამა 36. არის თუ არა პრობლემა მაღალკვალიფიციური მკვლევარების ნაკლებობა? (N=246)



ლოკალიზებული აკადემიური გარემო

ა) საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის საერთაშორისო კონტაქტებზე. ასეთი კონტაქტები უზრუნველყოფს პროფესორების მიწვევას საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად, რასაც, როგორც წესი, პუბლიკაცია მოსდევს. საერთაშორისო კონტაქტები და საერთაშორისო პროფესორთა

ასოციაციების წევრობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია არსებული შესაძლებლობებისა და გრანტების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მიზეზად, თუ რატომ აქვეყნებს ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში სტატიებს, ასევე კარგი კონტაქტების არსებობა დაასახელა. მისი თქმით, „როდესაც მათი გუნდის წევრი ხარ, ისინი მუდმივად გიწვევენ გამოსაქვეყნებლად."

თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორმაც გაუსვა ხაზი საერთაშორისო კონტაქტების მნიშვნელობას. კითხვას, საიდან იღებს ინფორმაციას კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად, მან უპასუხა: „ძირითადად, პირადი კონტაქტებიდან, ტრადიციული პარტნიორებისგან. ზოგჯერ, ეს მოწვევები ახალი პირებისგანაც მოდის, თუმცა ისინიც ჩემი ნაცნობების ნაცნობები არიან."

საბჭოთა მემკვიდრეობა

ა) სუსტი აკადემიური ტრადიციები

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც გამუდმებით ხაზს უსვამდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, არის აკადემიური ტრადიციების არარსებობა სოციალურ მეცნიერებებში. ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„პირველი და უპირატესი პრობლემაა აკადემიური ტრადიცია. ჩვენ არ გვაქვს უნივერსიტეტში და ქვეყანაში სოციალური მეცნიერებების აკადემიური ტრადიცია. ეს შედარებით ახალი სფეროებია ჩვენთვის. არ გვაქვს გამოცდილება და ამიტომაც, კვლევა სოციალურ მეცნიერებებში შედარებით ნაკლები პროდუქტიულობით გამოირჩევა."

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორმა შემდეგი განაცხადა:

„აუცილებელია იმ თეორიული მიდგომების გაცნობიერება, რომლებიც საჭიროა საზღვარგარეთ ნაშრომის გამოქვეყნებისთვის - წერის ტრადიცია სოციალურ მეცნიერებებში... აქ ძალიან მნიშვნელოვანია ნარატივი, დეკლარირება, რაც მოძველებულად მიიჩნევა დისციპლინების უმეტეს ნაწილში, საერთაშორისო დონეზე. უნდა შეგეძლოს კითხვის უფრო ფართო თეორიულ თუ კონცეპტუალურ ჩარჩოში ჩასმა. და ეს ძალიან ძნელია ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც შესაბამისი ფონი არ აქვს."

თბილისში მდებარე ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა ისაუბრა კონკრეტულ პრობლემებზე, რაც მისი დისციპლინისა და, ზოგადად, სოციალური მეცნიერებისთვისაა დამახასიათებელი საქართველოში. მისი თქმით,

საქართველოში ფსიქოლოგიის ზოგი მკვლევარი ძველ თეორიულ პარადიგმებშია ჩარჩენილი. განსაკუთრებით კი ე.წ. უზნაძის ფსიქოლოგიის სკოლა, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო საბჭოთა პერიოდში და კვლავაც ინარჩუნებს დომინანტი პარადიგმის სტატუსს.

აკადემიურ ტრადიციასთან დაკავშირებული პრობლემის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტები ხშირად შეცდომით მიაკუთვნებდნენ პროფესორებს სოციალური მეცნიერებების სფეროს, და ჩვენ იძულებული ვიყავით, ინდივიდუალურად განგვეხილა პროფესორის სპეციალობა ადეკვატური მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

ზემოთ აღნიშნული რესპოდენტის მიერ გამოყოფილი მეორე პრობლემის განზოგადება სოციალური მეცნიერებების ყველა დისციპლინაზეა შესაძლებელი. ეს არის სტატისტიკის სუსტი ცოდნა და რაოდენობრივი ანალიზისადმი ზერელე დამოკიდებულება. ამ საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა:

„საქართველოში როგორღაც მიიჩნევა, რომ როდესაც სოციალურ მეცნიერებებში მიდიხარ, არ გჭირდება მათემატიკის ცოდნა. სოციალურ მეცნიერებს შორის, მცირე გამონაკლისის სახით, არიან მკვლევარები, რომლებსაც აქვთ მათემატიკური ცოდნა და მისი გამოყენება, სოციალური მეცნიერებებში ჩატარებული კვლევის დროს, კონკრეტული მიზნისთვის შეუძლიათ. თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორმა ხაზი გაუსვა აკადემიური სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური გარემოს მნიშვნელობას სამეცნიერო პროდუქტიულობისთვის. კითხვაზე, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს აკადემიურ გარემოში, მან გვიპასუხა, რომ არ არსებობს პროფესიული ასოციაციები. ასეთი ასოციაციები უზრუნველყოფდა ხარისხის სტანდარტების არსებობას და განსაზღვრავდა, სოციალური მეცნიერებებში რა შეიძლება ჩაითვალოს კვლევად და რა არა.

დიაგრამა 37. წარმოადგენს თუ არა პრობლემას კვლევაში მეთოდოლოგიური ნაწილის არსებობის მოთხოვნა? (N=249)



დიაგრამა 37-ის თანახმად, რესპოდენტების 61% მიიჩნევს, რომ კვლევითი პროექტების მოთხოვნა მეთოდოლოგიური ნაწილის შესახებ ზედმეტად დიდია, და გამოწვევას წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ქართველი მკვლევარებისთვის.

a) ენობრივი ბარიერი

ენობრივი ბარიერი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა, რაც ზღუდავს სოციალური მეცნიერებების პროდუქტიულობას საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ მათთვისაც კი, ვინც ინგლისური კარგად იცის, რთულია იმ სტანდარტით წერა, რომელიც საერთაშორისო დონეზე მოითხოვება: საერთაშორისო რედაქტირება ძალიან ძვირია, ხოლო ადგილობრივი უნივერსიტეტები მსგავს მომსახურებას პროფესორებს არ სთავაზობენ.

დიაგრამა 38-ში წარმოდგენილია გამოკითხული პროფესორების ინგლისურად წერის უნარები. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები უკიდურესად სუბიექტურია, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ, როდესაც საქმე აკადემიურ წერას ეხება, მხოლოდ პასუხი „ძალიან კარგად“ გულისხმობს ენობრივი ბარიერის არარსებობას.

დიაგრამა 38. ინგლისურად წერის უნარის დონე (N=242)



ცხრილი 3-დან ჩანს, რომ თუმცა არც ისე ძლიერი, მაგრამ უკუპროპორციული კორელაცია პროფესორის ასაკსა და ინგლისურად წერის დონეს შორის მაინც არსებობს. შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტია პროფესორის ასაკი, უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას ექნება ინგლისურად წერის ძლიერი უნარები. ეს ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უფროსი თაობის პროფესორებმა განათლება საბჭოთა აკადემიურ სივრცეში მიიღეს, რომელიც იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსგან, და მათთვის ინგლისურად წერის კარგი უნარების ქონა აუცილებელი მოთხოვნა არ იყო.

ცხრილი 3. კორელაცია პროფესორების ასაკსა და ინგლისურად წერის შესაძლებლობას შორის

		ასაკი	წერა (უცხო ენის ცოდნა)
ასაკი	პირსონის კორელაცია	1	-,327**
	მნიშვნელობა (ორმხრივი კრიტერიუმი)		,000
	N	254	220
წერა (უცხო ენის ცოდნა)	პირსონის კორელაცია	-,327**	1
	მნიშვნელობა (ორმხრივი კრიტერიუმი)	,000	
	N	220	227

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (ორმხრივი კრიტერიუმი)

ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს ენობრივი ბარიერის პრობლემა, რაც ზღუდავს მათ იკითხონ თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა. მისი მტკიცებით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ არ არსებობს პროფესიული განვითარება.

გამოკითხულ პროფესორთა შესაძლებლობა, იკითხონ უცხო ენაზე წარმოდგენილია დიაგრამაში 39.

დიაგრამა 39. ინგლისურად კითხვის შესაძლებლობა (N=227)



პროფესორების 25%-მა განაცხადა, რომ ინგლისურად კარგად კითხულობს. 51% კი თვლის, რომ ძალიან კარგად კითხულობს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევამოწმოთ, რა ენაზე ეცნობიან პროფესორები სამეცნიერო ლიტერატურას. დიაგრამა 40-

ის თანახმად, პროფესორების 30% ეცნობა აკადემიურ ჟურნალებს, რომლებიც შესრულებული სხვა უცხო ენაზე გარდა ინგლისურის, ფრანგულისა და გერმანულისა.

დიაგრამა 40. რა ენაზე ეცნობით აკადემიურ ჟურნალებს ყველაზე ხშირად? (N=246)



ასევე, აზრის გამოკითხვის თანახმად, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უცხო ენების არცოდნა მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ გამოაქვეყნონ ნაშრომები იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში. დიაგრამა 41 გვიჩვენებს, რომ რესპოდენტთა 66%-ის აზრით, უცხო ენა ხელის შემშლელი ფაქტორია ქართველი მეცნიერებისთვის.

დიაგრამა 41. არის თუ არა უცხო ენების სუსტი ცოდნა ხელის შემშლელი პირობა თქვენს ნაცნობ მკვლევარებს შორის, გამოაქვეყნონ აკადემიური შრომები იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში? (N=256)



ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში განხორციელებულ კვლევაზე

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც საქართველოში სოციალური მეცნიერებების შედეგიანობაზე ახდენენ გავლენას. ახლა დავინტერესდებით ინდივიდუალური ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სფეროში დაკავებული მეცნიერების პროდუქტულობას. სხვა სიტყვებით, ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს პროფესორებს, მიაღწიონ წარმატებას ქართულ აკადემიურ გარემოში. ჩვენ გამოვიყენებთ სქოლარში განთავსებული პუბლიკაციების რაოდენობას (2010-2013) და GRASS–ის ინდექსს, როგორც დამოკიდებულ ცვლადებს.

ჩვენ ვიყენებთ შემდეგ დამოუკიდებელ ცვლადებს:

- საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება [2] – დიქოტომიური ცვლადი, სადაც 0 აღნიშნავს გამოცდილების არარსებობას, 1 აღნიშნავს მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის დონეზე განათლების საზღვარგარეთ მიღებას. ჩვენ მხოლოდ დასავლურ უნივერსიტეტებს ვგულისხმობთ და მხედველობაში არ ვიღებთ პოსტსაბჭოთა უნივერსიტეტებს.
- საზღვარგარეთ გავლილი ტრენინგების რაოდენობა – ჩვენ ვთხოვეთ რესპოდენტებს, მოეწოდებინათ ინფორმაცია იმ ტრენინგების შესახებ, რომლებსაც ისინი საზღვარგარეთ ესწრებოდნენ.
- ინგლისურ ენაში წერითი უნარ-ჩვევები – რიგითი ცვლადი, რომელსაც 5 სხვადასხვა მაჩვენებელი აქვს, იხილეთ დიაგრამა 16.
- შემოსავლის რაოდენობა აკადემიური წყაროებიდან – მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ პირველი სამი წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს (2010, 2011, 2012 წლები), რადგან დამოკიდებული ცვლადი გაითვალისწინებს მხოლოდ ბოლო ორ წელს (2012, 2013).
- სამუშაო დატვირთვა – კიდევ ერთხელ, მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ ბოლო სამი წლის (2010, 2011, 2012 წლები) სამუშაო დატვირთვას (აკადემიურს და არა-აკადემიურს). ყურადსაღებია, რომ ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყენებინა დროის ნაწილი, რომელიც გამოყენებული იყო კვლევებზე, მაგრამ ეს ცვლადი დამოკიდებულია სხვა დამოკიდებულ ცვლადზე (რაც უფრო მეტ პუბლიკაციაზე შრომობს პროფესორი, მით მეტ დროს უთმობს კვლევას). ასე რომ, სამუშაო დატვირთვა გამოვიყენეთ იმ დროის გასაზომად, რასაც პროფესორი სამეცნიერო კვლევას უთმობს.
- ადგილმდებარეობა – დიქოტომიური ცვლადი, სადაც 0 აღნიშნავს რეგიონებში და 1 კი - თბილისში მოღვაწეობას.
- გამოცდილება – აკადემიურ სფეროში გატარებული წლები. ისინი, ვინც აკადემიურ სფეროში 3 წელზე ნაკლები გაატარეს, ამოღებული იქნებიან მონაცემებიდან.

[2] სამწუხაროდ, ვერ გავზომეთ კონკრეტული პროფესორების მიერ მიღებული საერთაშორისო აკადემიური სტიპენდიების ოდენობა, რადგან აკადემიური პერსონალის კითხვარი არ შეიცავდა ამ კითხვას. თუმცა, ჩვენი აზრით, „საზღვარგარეთ სწავლა“ ნაწილობრივ ამასაც გულისხმობს. დანარჩენ შემთხვევებში, მონაცემები ამოღებულია აკადემიური პერსონალის კითხვარებიდან.

- უნივერსიტეტის ტიპი – დიქოტომიური ცვლადი, 0–ით აღინიშნება სხელმწიფო უნივერსიტეტები, ხოლო 1–ით - კერძო უნივერსიტეტები. იმ პროფესორების შემთხვევაში, რომლებიც დასაქმებულნი არიან ერთზე მეტ უნივერსიტეტში, მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ ძირითად სამუშაო ადგილს (კითხვარში მათ ვთხოვეთ დაესახელებინათ ძირითადი უნივერსიტეტი, რომელსაც ისინი საკუთარ თავს მიაკუთვნებენ).
- ტრადიცია – დიქოტომიური ცვლადი, სადაც 1 აღნიშნავს იმ დისციპლინებს, რომელთა ისტორიული ტრადიციებიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა (ფსიქოლოგია, სოციოლოგია/დემოგრაფია და განათლება), ხოლო სხვა დისციპლინები აღინიშნებიან 0–ით.
- აკადემიური თანამდებობა – რიგითი ცვლადი სამი ღირებულებით: 1– სრული პროფესორი, 2 – ასოცირებული პროფესორი, 3 – ასისტენტ-პროფესორი. ამ ცვლადს ვიყენებთ პროფესორების სხვადასხვა კვალიფიკაციისა და სამეცნიერო ძალის გასაკონტროლებლად მათ დისციპლინებში.

თავდაპირველ შერჩევაში 261 პროფესორი მონაწილეობდა. ჩვენ გამოვრიცხეთ 17 პროფესორი, რადგან მათი აკადემიური მოღვაწეობის პერიოდი 3 წელზე ნაკლები იყო.

დამოკიდებული ცვლადი: სქოლარში განთავსებული პუბლიკაციების რაოდენობა

სტატისტიკური ანალიზისთვის დამოკიდებული ცვლადის გამოყენებაში ძალზედ შეზღუდულნი ვიყავით, რადგან მოცემული საქმეები არ იყო ნორმალურად გადანაწილებული. ვინაიდან ჩვენ ვერ გამოვიყენეთ წრფივი რეგრესია, შევეცადეთ, სამეცნიერო პროდუქტიულობის გასაზომად რეგრესიის ბინარული (ორობითი) ლოგისტიკური მოდელი გამოგვეყენებინა. თავდაპირველი დამოკიდებული ცვლადი შევცვალეთ ორი ღირებულების მქონე ბინარულ (ორობით) ცვლადად, სადაც: 0 აღნიშნავს პუბლიკაციების არ არსებობას, ხოლო 1 - ერთ ან ერთზე მეტ პუბლიკაციას მოცემულ პერიოდში (2011, 2012, 2013 წლები). მხედველობაში მივიღეთ ის პუბლიკაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია გუგლ სქოლარში. შედეგები იხილეთ ცხრილში 4.

ცხრილი 4. ბინარული ლოგისტიკური რეგრესია პუბლიკაციებზე გავლენის მქონე ფაქტორების დასადგენად

	B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
უნივერსიტეტის ტიპი	-,150	,491	,094	1	,760	,860
ტრადიცია	,893	,480	3,455	1	,063	2,442
დატვირთვა	,004	,016	,068	1	,794	1,004
გამოცდილება	-,016	,024	,469	1	,493	,984
საზღვარგარეთ განათლება	,263	,505	,271	1	,603	1,301
ადგილმდებარეობა	19,031	8659,596	,000	1	,998	184041599,818
ტრენინგები	,000	,048	,000	1	,993	1,000
აკადემიური შემოსავალი	,000	,000	2,588	1	,108	1,000
ინგლისური	,660	,249	7,007	1	,008	1,934
აკადემიური თანამდებობა	-,588	,314	3,508	1	,061	,556
მუდმივი	-22,408	8659,596	,000	1	,998	,000

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინგლისურ ენაზე წერის უნარი ერთადერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური ცვლადი აღმოჩნდა (მნიშვნელოვანი $p<0.01$), რომელიც გავლენას ახდენს სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგზე. ეს უნარები მჭიდროდაა დაკავშირებული საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილებასთან – ფაქტორი, რომლის კარგად შესწავლაც ვერ მოვახერხეთ კვლევის დროს. აღნიშნული უნარები გავლენას ახდენს პროფესორების პროდუქტიულობაზე, რადგან საშუალებას აძლევს, ნაშრომები ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნონ, რაც ხელს შეუწყობს მათ განთავსებას გუგლ სქოლარში.

გასათვალისწინებელია, რომ გარდაქმნილი დამოკიდებული ცვლადი მთლიანად არ ასახავს ქართველი პროფესორების პროდუქტიულობას. აქედან გამომდინარე, არ იძლევა სრულ შედეგს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ცოდნა, რომ ინგლისურ ენაზე წერა გავლენიანი ფაქტორი აღმოჩნდა. შემდგომ სტატისტიკურ ანალიზს, ქართველი პროფესორების მეცნიერული პროდუქტიულობის დასადგენად, სჭირდება მეტი ნიუანსური მონაცემები.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის რეკომენდაციები

რეკომენდაციებისთვის აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება ხარისხიან სამეცნიერო შედეგში, რადგან ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს მოგვცემს. ხარისხიან პუბლიკაციაში ვგულისხმობთ ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც: ა) ქვეყნდება რეფერირებად იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში, ან ბ) რომელთა ციტირებაც ხდება ასეთ ჟურნალებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო, 277 სტატიის საშუალო მაჩვენებელი თვითიდენტიფიცირებული პუბლიკაციების თვალსაზრისით არის 4.66, რაც 7.87-ჯერ აღემატება გუგლ სქოლარისა (0.59), და 61.4-ჯერ - სკოპუს მიერ იდენტიფიცირებული პუბლიკაციების საშუალო მაჩვენებლებს. სხვაგვარად, პროფესორის მიერ დასახელებული პუბლიკაციების რიცხვი არ ემთხვევა მის ოფიციალურ სამეცნიერო შედეგს.

საუნივერსიტეტო დონეზე

შემოსავალი აკადემიური საქმიანობიდან

a. პროფესორების ხელფასები საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. მათ არ უნდა ჰქონდეთ იმის ფინანსური მოტივაცია, რომ არააკადემიურ საქმიანობას დაუთმონ დრო და ენერგია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკური ანალიზის თანახმად, აკადემიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მაღალი კვლევით პროდუქტიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. განსაკუთრებით დაბალი შემოსავალი რეგიონულ უნივერსიტეტებში, როგორც ამას დიაგრამა 15 გვიჩვენებს, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს სოციალურ მეცნიერებებში კვლევის წარმოების ალბათობას რეგიონებში.
b. აკადემიური პერსონალის ხელფასების ზრდას თან უნდა ახლდეს გარანტია, რომ პროფესორები ხელს არ მოჰკიდებენ ისეთ არააკადემიურ საქმიანობას, რომელიც უნივერსიტეტის მიერ არ იქნება ვიზირებული. უნივერსიტეტი უნდა ამტკიცებდეს არამხოლოდ ყველა მსგავს საქმიანობას, არამედ პროფესორებს უნდა ჰქონდეთ უფლება, კურსების მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობა ასწავლონ სხვა უნივერსიტეტებში, რომელსაც ასევე მათი ძირითადი უნივერსიტეტი დაამტკიცებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს უნივერსიტეტი გარანტიას, რომ გაზრდილი ხელფასი გაზრდის კვლევით პროდუქტიულობას.
c. კვლევის ჩატარება უნდა აისახოს ხელფასზე. საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებული სამეცნიერო პროდუქტიულობას გავლენა უნდა ჰქონდეს პროფესორის ხელფასზე. ეს წაახალისებს პროფესორს: ა) ჩაატაროს მაღალხარისხიანი კვლევა, ბ) გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები მაღალი დონის რეფერირებად ჟურნალებში, გ) რეგულარულად აწარმოოს კვლევა.
d. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა: ა) დაინერგოს პროფესორობის კატეგორიები სამეცნიერო პროდუქტიულობის დონეების მიხედვით, ბ) გაიცეს პრემიები სამეცნიერო შედეგების საფუძველზე. ჩვენი რეკომენდაცია მეორე

ვარიანტისკენ იხრება მისი მოქნილობის გამო, რადგან ამ შემთხვევაში საჭირო არ არის პროფესორის სტატუსის ამაღლება ან დაქვეითება, რაც თავის მხრივ, საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია. პრემია შეიძლება გაიცეს წლის ბოლოს, მიმდინარე წლის სამეცნიერო შედეგების გამოანგარიშების საფუძველზე. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებთან ერთად, შესაძლოა, ძველი სტატიების ციტირების ინდექსის გათვალისწინებაც.

სასწავლო დატვირთვა

e. პროფესორებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სამეცნიერო კვლევაზე, უნდა შევთავაზოთ სასწავლო დატვირთვის შემცირების შესაძლებლობა კონკრეტულ დონემდე. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, რესპოდენტების 34% კვირაში 10 საათზე მეტს ასწავლის.
f. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეუძლია ამის დანერგვა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: ა) პირადი არჩევანი/უპირატესობა (უნდა თუ არა პროფესორს სასწავლო დატვირთვის შემცირება), ბ) წარსული კვლევითი აქტივობები (დათვლადი მაღალი ხარისხის კვლევითი პროდუქტი აკადემიური კარიერის სიდიდის, ხელფასის, სამუშაო დატვირთვის, ა.შ გათვალისწინებით), გ) პირველი მცდელობის შემთხვევაში, ძლიერი მოტივაცია და კარგი კვლევითი პროექტები შესაძლოა საკმარისი იყოს. ამ უკანასკნელის მიმოხილვა ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს.

აკადემიური პოზიცია და კვლევითი პროდუქტი

g. აკადემიური პერსონალის ერთი დონიდან მეორეზე გადაყვანა დაკავშირებული უნდა იყოს ტენუარის დროს პროფესორის კვლევით პროდუქტთან. მაგალითად, პროფესორის დაწინაურება ასოცირებულიდან სრულ პროფესორამდე უნდა ეფუძნებოდეს მაღალ-კვალიფიციური სამეცნიერო პროდუქტის ოდენობას.

კვლევისთვის მიზნობრივი დაფინანსების გაზრდა

h. უნივერსიტეტებმა უნდა გამოყონ თანხები კვლევისთვის. ხოლო რეგულაცია ამ თანხების განაწილება/აღრიცხვის შესახებ უნდა გახდეს ნაკლებ ხისტი. იყო შემთხვევები, როდესაც თანხა გამოიყო, მაგრამ ვერ გაიხარჯა შეუძლებელი რეგულაციების გამო, რომლებიც თანხების განკარგავსთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა

i. უნივერსიტეტებმა უნდა გამოყონ დამატებითი თანხები აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, რაც გაზრდის საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში კონტაქტების ქსელს. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მაღალხარისხიანი კვლევის დიდი ნაწილი იწარმოება უცხოელ მკვლევარებთან თანამშრომლობის საფუძველზე.
თუმცა, ამავე დროს, უნივერსიტეტებმა უნდა აკონტროლონ იმ კონფერენციების ხარისხი, რომლებშიც მათი პროფესორები მონაწილეობენ. უნდა შემუშავდეს შესაბამისი კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ასეთი კონფერენციების მაღალი დონე.

მაგალითად, უნდა გადაიხედოს კონფერენციის მონაწილეების სია ან/და თავად კონფერენციის ისტორია, რათა შეფასდეს კონფერენციის ხარისხი.

გაცვლითი პროგრამები სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური ტრადიციების გასაცნობად

j. აკადემიური ტრადიციების გასაცნობად ერთ-ერთი ეფექტური გზა დროებითი სასწავლო ან სამუშაო ვიზიტებია უცხოურ უნივერსიტეტებში. შესაბამისად, უნივერსიტეტებმა უნდა გამოყონ თანხები გაცვლითი პროგრამების დასაფინანსებლად კვალიფიციური და მოტივირებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. თანხები უნდა გამოიყოს დოქტორანტებისთვისაც, რათა მათ შეძლონ კვლევის ჩატარება/საზღვარგარეთ მოგზაურობა/აკადემიური კავშირების გაბმა. ეს ასევე გულისხმობს ერთობლივ დაფინანსებასაც. მაგალითად, დოქტორანტს უნდა შეეძლოს უცხოურ უნივერსიტეტში მუშაობა ერთი წლის განმავლობაში.

მეთოდოლოგიური ტრენინგი

k. აუცილებელია რაოდენობრივი კვლევის მეთოდების (სტატისტიკა, პროგრამირება) სწავლების გაძლიერება სწავლის ყველა დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიის სწავლების გაძლიერება. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან თანამედროვე სოციალური მეცნიერებების კვლევა უფრო და უფრო ეფუძნება რაოდენობრივ ანალიზს. შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლების ტრადიცია საქართველოში გაცილებით სუსტია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.

l. შეძასძლოა, შემოიღონ კვლევითი ასისტენტობა სტუდენტებისთვის. აღნიშნული ასისტენტები მიმაგრებულნი იქნებიან პროფესორზე, რომელიც ორიენტირებულია კვლევის ჩატარებაზე. ამ გზით, სხვადასხვა ეტაპის სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს ან დოქტორანტებს) საშუალება ექნებათ გაიუმჯობესონ კვლევითი უნარები.

ინგლისური ენისა და აკადემიური წერის ტრენინგი

m. კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია ინგლისური ენის სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. იმფაქტფაქტორიანი და რეფერირებადი ჟურნალების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გამოიცემა ინგლისურ ენაზე. გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამები საუკეთესო საშუალებაა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისთვის, თუმცა სხვა მეთოდები, როგორიცაა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ენის კურსები, ასევე სასარგებლოა.

n. უნივერსიტეტებმა უნდა გააძლიერონ აკადემიური წერის სწავლება, ინგლისური აკადემიური წერის ჩათვლით. კურსების აქცენტი კონცენტრირებული უნდა იყოს იმ ძირითადი უნარების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად, როგორიცაა ციტირების სწორი მეთოდები, სტატიის სტრუქტურა და სამეცნიერო სიზუსტე. იგი ასევე უნდა მოიცავდეს იმის სწავლებას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ვალიდური და განხორციელებადი სამეცნიერო კვლევა, კვლევითი კითხვის დასმას, ა.შ.

o. უნივერსიტეტებისთვის სასარგებლო იქნება ე.წ. წერით ცენტრების შექმნა. ისინი დაეხმარება პროფესორებს აკადემიურ წერაში, ნაშრომების ინგლისურად თარგმნაში, ენობრივი თვალსაზრისით სტატიის ქართული და ინგლისური ვერსიების რედაქტირებაში.

აკადემიური გარემო

p. აკადემიური გარემო ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, მოხდეს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების (რომლებიც სწავლობენ თუ მუშაობენ) და უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა. ეს ხალხი არა მხოლოდ გაზრდის სწავლების დონეს უნივერსიტეტებში, არამედ გაამარტივებს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და იდეების გაცვლა-გამოცვლას.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

q. უნივერსიტეტებისთვის სასარგებლო იქნება ბიბლიოთეკების ხარისხის გაუმჯობესება ლიტერატურის განახლების გზით. ზოგიერთი საჯარო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები ინახება წიგნები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, თუმცა ისინი გაფანტულია მთელ ქალაქში. მათი ერთ ადგილას თავმოყრა, ან საერთო ელექტრონული კატალოგის შექმნა არსებულ კვლევით რესურსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა სტუდენტებისა და მკლევარებისთვის.

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

r. კვლევითი პროდუქტიულობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტები უნდა ზრუნავდნენ ერთმანეთთან თანამშრომლობის გაზრდაზე. საერთო რესურსების არსებობა მათ კვლევითი პროდუქტის რაოდენობის გაზრდაში დაეხმარება. სხვადასხვა უნივერსიტეტს აქვს ექსპერტიზის სხვადასხვა შესაძლებლობა, რომლის საუკეთესოდ გამოყენება შესაძლებელია თანამშრომლობის საფუძველზე.

კვლევითი ინსტიტუტები

საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე კვლევითი ინსტიტუტების როლის შესახებ ცალკე კვლევა უნდა ჩატარდეს. სამწუხაროდ, ამ პროექტის ფარგლებში, საკმაოდ რთული აღმოჩნდა კვლევითი ინსტიტუტების საფუძვლიანი კვლევის განხორციელება.

სამთავრობო დონეზე

ეროვნული წამახალისებელი სისტემის შექმნა

a. კვლევების ჩასატარებლად და საერთაშორისო სტანდარტების კვლევითი პროდუქტის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა შექმნას ეროვნული წამახალისებელი სისტემა.ერთ-ერთი მოდელის თანახმად, შეიძლება შეიქმნას საკონკურსო სისტემა დეპარტამენტების დონეზე, რომლის საფუძველზეც გაიცემოდა ჯილდოები სოციალური და პოლიტიკური კვლევების

სხვადასხვა დეპარტამენტზე მათი კვლევითი წარმატების მიხედვით (დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში მოქმედი მოდელების ანალოგი).

b. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტებისა და აკადემიური პროგრამების რანჟირების სისტემის შექმნას ეროვნულ დონეზე. ამის შედეგად, შესაძლებელი იქნება ქართულ უნივერსიტეტებში ხარისხის სტანდარტების დანერგვა, რაც თავის მხრივ, უნივერსიტეტების შემოსავლებზე, და საბოლოო ჯამში, კვლევით შესაძლებლობებზე იქონიებს გავლენას. გარდა ამისა, გაიზრდება სადოქტორო პროგრამებს შორის კონკურენცია, რაც საბოლოო ჯამში, აისახება მათი ხარისხის გაუმჯობესებაზე.

უფრო გულუხვი და სამართლიანი დაფინანსების სქემები

c. კვლევამ აჩვენა, რომ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის იმიჯი საკმაოდ ნეგატიურია; პროფესორებს ხშირად მიაჩნიათ, რომ წარდგენილი პროექტების შეფასება არაადეკვატური და არაპროფესიონალურია. საქართველოს რეფორმების ასოციაცია ვერ შეაფასებს ამ ბრალდებების სიმართლეს, რადგან ამ მიმართულებით კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა ფონდისთვის აუცილებელია რეპუტაციის გაუმჯობესება.

d. უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ ეროვნული გრანტის გამცემი ფონდების, როგორიცაა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, პრიორიტეტად სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების აღიარება მოხდეს.

ინფრასტრუქტურა

e. სოციალური მეცნიერებებისთვის სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი იქნება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა კვლევითი მიზნებისთვის. ბიბლიოთეკასთან წვდომა უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტების სოციალურ მეცნიერებათა სფეროს ყველა პროფესორს.

f. სახელმწიფომ უნივერსიტეტებისთვის უნდა უზრუნველყოს ყველაზე თანამედროვე ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე წვდომაც. მსგავსი მონაცემთა ბაზების გარეშე საკმაოდ რთულია თანამედროვე კვლევების ჩატარება სოციალური მეცნიერებებში.

g. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო შეძლებს შიდა-საბიბლიოთეკო თანამშრომლობის სისტემის შექმნას, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს ისარგებლონ სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში დაცული ლიტერატურით.

ადამიანური რესურსები

h. სახელმწიფომ უნდა იმუშაოს ქართულ აკადემიურ დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მობილიზებაზე. შესაძლოა, სამინისტროს დონეზე შემუშავდეს პროგრამა, რომელიც ა) ხელს შეუწყობს დასავლეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდა მეცნიერებს, დაბრუნდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბ) ხელს შეუწყობს ახალგაზრდა უცხოელი პროფესორების მოზიდვას, რომლებმაც ახლახან მიიღეს დოქტორის ხარისხი დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებში.

ქართულ უმაღლეს საგანანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

i. სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა დეპარტამენტსა და საერთაშორისო მკვლევარებს შორის თანამშრომლობას. გარდა რესურსების გაცვლა-გამოცვლისა, უნივერსიტეტები შეძლებენ კვლევით პროდუქტიულობის ამაღლებას.

დანართი 1.

კვლევის შეზღუდვები

- რთულია ყველა იმ პროფესორის იდენტიფიცირება, ვინც არ მიეკუთვნება სოციალური მეცნიერებების სფეროს. უნივერსიტეტები ხშირად შეცდომით მიაკუთვნებენ საკუთარ პროფესორებს სოციალურ მეცნიერებებს. ასეთი პროფესორები წინამდებარე კვლევის შერჩევაში არ შესულან, თუმცა მაინც რჩება იმის შანსი, რომ ზოგიერთი მათგანი მოხვდა სიაში.
- ბევრი მეორადი მოკვლევის კითხვარი არასრული იყო. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტების უმრავლესობამ ვერ შეძლო ხარჯვების შესახებ მონაცემების მოწოდება. ზოგიერთმა უნივერსიტეტმა საერთოდ არ შეავსო აღნიშნული კითხვარი.
- იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ვერ მოხვდა აკადემიური პერსონალის კითხვარში. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ კითხვარების შედგენა მოხდა სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარებამდე. მაგალითად, კითხვა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სტიპენდიების შესახებ ვერ მოხვდა კითხვარში, რამაც გაართულა იმის ანალიზი, თუ რა გავლენას ახდენს საზღვარგარეთ მიღებული განათლება ინდივიდუალური მკვლევარის სამეცნიერო შედეგებზე (კითხვა საზღვარგარეთ მიღებული განათლების შესახებ ასევე ვერ მოხვდა კითხვარის იმ ნაწილში, რომელიც აზრის კვლევას ეხებოდა).
- ბევრი კითხვარი, რომელიც ადემიურმა პერსონალმა შეავსო, არასრული იყო. ნაწილობრივ, ამის მიზეზია ის, რომ ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა უარი განაცხადეს, პასუხი გაეცათ კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც მათი აზრით ზედმეტად პირადული იყო. გარდა ამისა, ის კითხვარები, რომლებიც ელექტრონულად გადაეგზავნათ რესპონდენტებს (ძირითადად, იმ პროფესორებს, რომლებიც რეგიონებში ან საზღვარგარეთ ცხოვრობენ) შესავსებად, ასევე არასრულად იყო შევსებული.
- მეცნიერების ერთი ჯგუფისგან, რომელსაც აკადემიური პერსონალის გამოკითხვისთვის დავუკავშირდით, იგრძნობოდა აშკარად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება. ჩვენმა მკვლებარებმა და ინტერვიუერებმა, რომლებიც ამ პრობლემას წააწყდნენ, განმარტეს, რომ აღნიშნულ დამოკიდებულებას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი, ზოგიერთმა პროფესორმა მიიჩნია, რომ კითხვები ზედმეტად პირადული ხასიათის იყო (მაგალითად, კითხვები მათი შემოსავლის შესახებ), და მეორე, მათ არ იცოდნენ კვლევის ნამდვილი მიზანი. განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულში მომხდარი რეფორმების ფონზე, ისინი ღელავენ მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებით.
- ინტერნეტ მონაცემთა ბაზები, რომელთა დახმარებითაც გავზომეთ ქართველი პროფესორების კვლევითი პროდუქტიულობა, შეიძლება არ მოიცავენ ზოგიერთ ხარისხიან კვლევას, რომელიც ქართულად, ან ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენაზე ჩატარდა. სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ სხვა, უფრო მრავლისმომცველი მონაცემთა ბაზები, რომლებიც საქართველოში წარმოებული კვლევის პროდუქტიულობის შესახებ საერთო სურათს მოგვცემდა.
- ინტერნეტ ბაზების ანალიზისას წავწყდით ტექნიკურ პრობლემას. ზოგჯერ, მკვლევარი არ იყო დარწმუნებული, როგორ იწერებოდა პროფესორის გვარი ინგლისურად, და ხშირად, გვარების წერის სხვადასხვა ვერსია სხვადასხვა შედეგს გვაძლევდა. თუმცა ერთი და იგივე მონაცემის რამდენჯერმე და სხვადასხვა პირის მიერ გადამოწმების შედეგად შევძელით იმის უზრუნველყოფა, რომ მსგავს შეცდომებს გავლენა არ მოეხდინა კვლევის მიმდინარეობაზე.